ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

პაქსაძე სალომე

ქალის როლი საჯარო სივრცეში - გენდერული თანასწორობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ–ხელმძღვანელი: ბესიკ ბერიძე,
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ხიჭაური
2021

ანოტაცია

ჩვენს წარსულს და ისტორიას თუ კი გადავხედავთ ქალს მამაკაცთან შედარებით ჰქონდა ნაკლები უფლებები, შეზღუდული იყო როგორც პროფესიის არჩევის კუთხით, ასევე შემდგომში რთული იყო მისთვის სასურველი სამსახურის დაწყება. თავიდანვე ქალი აღიქმებოდა, როგორც ოჯახის ბურჯი, მის ძირითად მოვალეობაში კი შედიოდა ოჯახის და შვილების მოვლა-პატრონობა. მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, გლობალიზაციამ და ახალმა გამოწვევებმა რამოდენიმე საფეხურით წინ წამოწია ქალის როლი, ეს იქნება პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებში. რათქმაუნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალმა ოჯახზე და შვილებზე თქვა უარი, პირიქით ამ ყველაფერთან ერთად მის მოვალეობებს დაემატა სამსახურის უფლება-მოვალეობები. შეიცვალა მისთვის დღის განრიგი, თუ კი მთელ დროს უთმობდა ოჯახს, ეხლა უკვე დღის განრიგი უნდა გადაანაწილოს როგორც ოჯახზე, ასევე სამსახურზეც. რათქმაუნდა ამისათვის საჭიროა დროის მენეჯმენტის რაციონალური გამოყენება და დღის გეგმის შემუშავება.

მიუხედავად იმისა, რომ ქალი აღიქმებოდა სუსტ სქესად საუკუნეების მანძილზე მისმა ძლიერმა მხარეებმაც ჰპოვეს აღიარება. ყოველთვის მეტნაკლებად იყო აღქმული და გაგებული ის ფაქტი, რომ ქალს აქვს რაღაც განსაკუთრებული უნარი იმისა, რომ აქტიურად ეძებოს ყველა პრობლემიდან გამოსავალი, მარტივად ნახოს მისი გადაჭრის გზები და გამჭრიახი გონებით საქმე მიიყვანოს სასურველ შედეგამდე. თუმცა ამ ყოველივეს სამწუხაროდ ბევრი ვერ აღიარებდა და დღემდეც არის ეს ტენდენცია ასე თუ ისე შემორჩენილი მიუხედავად იმისა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ვართ. ჩემი აზრით არ უნდა ხდებოდეს ძლიერი და სუსტი მხარეების გარჩევადობა და ეს დამოკიდებულება, ეს დაყოფა მალევე უნდა ჩაბარდეს წარსულს.

სწორედ ამ სტერეოტიპებმა და საზოგადოების დამოკიდებულებამ გადამაწყვეტია მემუშავა აღნიშნულ საკითხზე. ვეცდები ჩემი მოკლე მიმოხილვით მკვეთრად გამოვხატო პრობლემატიკა და ვისაუბრო მისი აღმოფხვრის გზებზე. ამით მცირეოდენ წვლილს მაინც შევიტან და შევეცდები უმნიშვნელოდ მაინც შევცვალო საზოგადოების დამოკიდებულება გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით.

ANNOTATION

If we look at our past and history, even if a woman had fewer rights than a man, she was limited both in terms of choosing a profession, and in the future it was difficult for her to start the job she wanted. From the very beginning, a woman was perceived as a pillar of the family, and her main responsibilities included caring for the family and children. The current processes in the world, globalization and new challenges have raised the role of women by several steps, be it in political or economic issues. Of course, this does not mean that a woman has given up on her family and children, on the contrary, along with all this, her rights and responsibilities have been added to her duties. The agenda has changed for him, if he devoted all his time to the family, now he has to redistribute the agenda both for the family and for work. Of course, this requires the rational use of time management and the development of a daily plan.

Although a woman was perceived as the weaker sex for centuries, her strengths also gained recognition. It has always been more or less perceived and understood the fact that a woman has some special ability to actively seek solutions to all problems, easily find ways to solve them and with a clear mind the case will lead to the desired result. However, unfortunately, not many people recognized all this, and this trend is still more or less preserved, even though we are in the twenty-first century. In my opinion there should be no distinction between strengths and weaknesses and this attitude, this division should soon be a thing of the past.

It is these stereotypes and attitudes of the society that are decisive for me to work on this issue. I will try to sharply express the problem with my short review and talk about the ways to eliminate it. I will make at least a small contribution and I will try to change the attitude of the society towards gender equality at least slightly.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. ქალის როლი და ადგილი კულტურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.....7

1.1 ქალთა განათლება..... 18

1.2 ქალთა კარიერა……..... 22

თავი II. გენდერული თანასწორობის პრობლემა ……...……...…..……..... 27

2.1 ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ სარბიელზე..... .32

2.2 ქართული ტენდენციები და რეალობა. დასაქმებისა და ჩართულობის ხელშეწყობა..35

თავი III. გენდერული დისბალანსი და სამსახურში მიღების ბარიერები..... 44

დასკვნა …….....……....57

გამოყენებული ლიტერატურა …….....……...63

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალურობა. თანამედროვე ცივილურმა გამოწვევებმა ადამიანის უფლებათა მექანიზმების დანერგვით სერიოზული გარდატეხა მოახდინა, როდესაც ცივილური სახელმწიფოსათვის სავალდებულო გახდა ქალის და მამაკაცის თანასწორობა - ე.წ გენდერული თანასწორობა, როგორც დემოკრატიის რეჟიმის ლეგიტიმაციის წინაპირობა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის გაეროს ეს არის „გაეროს ქარტია". ის მოიცავს საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის საფუძველს, ამასთანავე თანასწორობის უფლებასა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ვალდებულება კი არის დაიცვას ნებისმიერი ადამიანი ყველა სახის დისკრიმინაციისაგან, მათ შორის არის სქესის ნიშნით დისკრიმინაციაც. საერთაშორისო კონვენცია კი აყალიბებს სპეციფიკურ შეთანხმებას თანასწორობის უფლებაზე ქალსა და მამაკაცს შორის, როგორც საჯარო ასევე პოლიტიკურ ცხორებაში.

2003 წელს გენდერული ასამბლეის მიერ იქნა მიღებული რეზოლუცია 58/142 ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების შესახებ, ამით კი ხაზი გაესვა ქალთა მონაწილეობის გაძლიერების მნიშვნელობას. 2011 წელს ქალთა პოლიტიკური ჩართულობის მნიშვნელობას ხაზი გაესვა რეზოლუციით 66/130. ზემოთ ხსენებულ დოკუმენტებს საქართველომ მოაწერა ხელი და მოახდინა მისი რატიფიცირება. სხვა მოთხოვნებთან ერთად, მან ასევე აიღო ვალდებულება , რომ არა მხოლოდ სერიოზულ ზომებს მიიღებდა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, არამედ დაიცავდა ქალთა უფლებებს და ასევე ხელს შეუწყობდა ქალების პოპულარიზაციას საკანონმდებლო, საჯარო თუ სხვადასხვა ორგანიზაციებში. ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების მიუხედავად XXI საუკუნეში, ჩვენი ქვეყანა რადიკალურად განსხვავდება საჯარო მმართვლობაში ქალის როლის აღიარებით. ეს ყოველივე კი მოქმედებს ეკონომიკურ ფაქტორზეც, ვინაიდან და რადგანაც, ქვეყანა

კარგავს შემოსავლის სოლიდურ ნაწილს, როდესაც ვერ ან არ იყენებს ქალთა შესაძლებლობებს და მათ ინტელექტუალურ პოტენციალს.

სამაგისტრო ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საუძველს წამოადგენს ცნობილი ქართველი მეცნიერების ნაშრომები, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, კონცენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ, გაეროს წესდება და სხვანი.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის მიზანი და ამოცანაა კრიტიკულად განვიხილოთ საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემაში ქალის როლი. ჩემი ამოცანაა გავაანალიზო სხვადასხვა ავტორის ნაშრომები პოლიტიკური კულტურის, როგორც ინსტიტუტის შესახებ. განვსაზღვროთ ქალის აუცილებლობა და მიზეზები საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ასევე სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოვავლინოთ საჯარო მმართველობაში ქალთა და მამაკაცთა დასაქმების ბალანსი გენდერულ ჭრილში. მნიშვნელოვანია ასევე პრობლემატიკის გამოვლენა განათლების სფეროში და აღმოსაფხვრელი გზების მოძიება, მათი დაგეგმარება და შემდგომში გამოყენება ისევ და ისევ ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

კვლევის ობიექტი და საგანი. ვფიქრობ აღნიშნული ნაშრომი დაეხმარება ქვეყანას და ზოგადად საზოგადოებას მცირეოდენი ინფორმაცია მაინც მიაწოდოს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით გენდერულ ჭრილში. სამომავლოდ აღნიშნულ თემას ექნება კარგი პერსპექტივა და მასზე დაყრდნობით მეც მცირეოდენ წვლილს შევიტან და საზოგადოებას მივაწოდებ ინფორმაციას თუ რა არის გენდერული თანასწორობა, როგორ უნდა დაიცვან თავიანთი უფლებები, როგორ მიაღწიონ კარიერულ წინსვლას და ზოგადად რაზე არის დამოკიდებული თემაში მოყვანილი პრობლემები.

კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის შედეგები ხელს შეუწყობს ქალის როლის უფრო მეტად გააქტიურებას და ქალის მაქსიმალურად ჩართულობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენება შესაძლებელია შემდგომში საკითხის მოგვარების ამომავალ წერტილად იქცეს და ხელი შეუწყოს ქალის როლის წინა ხაზზე გადმოწევას და უფრო მეტი ყურადღების მიქცევას.

თავი I. ქალის როლი და ადგილი კულტურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში

დაუწერელი კანონია ის, რომ ქალი პირველ რიგში არის დედა. დედობა კი ყველაზე რთული საქმიანობაა და შესაბამისად გასამრჯელოც ყველაზე მაღალია. უპირველეს ყოვლისა ამიტომ არის ქალი ძლიერი, რომ მას შეუძლია და ღმერთმა არგუნა დედობის უფლება. ის, რომ მამაკაცები ფიზიკურად უფრო ძლიერები არიან არ გვაძლევს იმის ფიქრის საშუალებას, რომ ქალს არ შეუძლია სირთულეებთან განმკლავება და მისი აღმოსაფხვრელი გზების მოძიება. თუმცა როგორც მამაკაცს, ასევე ქალსაც აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. რათქმაუნდა შეუძლებელია ქალი და მამაკაცი იყოს ერთი, მაგრამ საზოგადოებაში მათ უნდა ჰქონდეთ თავიანთ შესაძლებლობებზე მორგებული როლები, რომლებიც ჩემი მოსაზრებით არ უნდა იწონებოდეს და არ უნდა არსებობდეს ძლიერი და სუსტი მხარეების დაყოფა.

დაახლოებით მე-20 საუკუნის დამდეგს თუ კი გადავხედავთ რამდენიმე განვითარებულ და ცივილურ ქვეყანაში ქალებმა მოიპოვეს ხმის მიცემის უფლება, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ მათ მიეცათ შანსი და გაეხსნათ დარაბები გაეკვალათ გზა განათლებისა და პროფესიული მოღვაწეობის სფეროში. უპირველეს ყოვლისა მათ მიაღწიეს იმას, რომ ტრადიციულად აღქმულ იმიჯთან ერთად საზოგადოებაში შემოიტანეს ახალი ტენდენცია - საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული აქტიური ქალის სახით.

ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ქალი ყოველთვის ასრულებდა მედეატორულ ფუნქციებს, როგორც ეროვნულ, ასევე საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს შორის. იყო პერიოდი, როდესაც მათ უწევდათ სარწმუნოების შენარჩუნების მიზნით შეემუშავებინათ სტრატეგია და შემდეგ ეს განეხორციელებინათ, რადგან არ დაეკარგათ ურთიერთპატივისცემა და სიყვარული სხვა ეროვნების ადამიანებთან. როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, იყო შემთხვევები, როდესაც მუსლიმანი მებრძოლები, ჩვენს ქრისტიან ქალებს იყენებდნენ დიპლომატიური მისიისათვის.

ჩვენი სარწმუნოების, მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით საქართველო გახლავთ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ჩვენი, ქართველების გაქრისტიანება უკავშირდება წმინდა ნინოს, გვყავდა დიდებული მეფე თამარი და სხვა დიდებული ქართველი ქალები, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ქვეყნის განვითარებაში და წინსვლაში. აფორიზმი შოთა რუსთაველის პოემიდან „ვეფხისტყაოსნიდან: **„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია“** ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება გააჩნია ქართველს ქვეყნის მმართველობაში არსებულ იერარქიულ დონეზე. ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ ქალის მანდილის ძალა, რომელსაც შესწევს ძალა შეაჩეროს ორი მებრძოლი მამაკაცი. ეს მაგალითიც კი საკმარისია, იმისათვის რომ დავინახოთ ქალის მშვიდობისმყოფელი ბუნების ილუსტრაცია. ძალზედ საამაყოა ის ფაქტი, რომ ეს ტრადიცია ასახულია ქართულ ხალხურ ცეკვაში და შეუძლია სხვა ეროვნების მოსახლეობასაც კი გაეცნოს ამ უჩვეულო და ძალიან ლამაზ სანახაობას.[1]

გმირობის საუკეთესო მაგალითებად რჩებიან წარსულში მოღვაწე ქართველი ქალები. საკმარისია გავიხსენოთ ნანა დედოფალი-მირიან მეფის მეუღლე, რომლის სახელსაც უკავშირდება ქართლის გაქრისტიანება და შემდგომ კი მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. ასევე მეხუთე საუკუნეში მოღვაწე შუშანიკი, ჩვენი დიდებული დედოფალი, რომელმაც სარწმუნოების გამო 6 წელი ციხის კედლებში გაატარა, არ დაყარა ფარ-ხმალი და ბოლოს კი მოწამეობრივად აღესრულა. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს დედოფალი მარიამი, რომელიც მე-11 საუკუნეში დიპლომატიური მისიით იქნა წარდგენილი კონსტანტინე პოლში და სხვანი.

ასევე მნიშვნელოვანია ამ სიის გარეთ არ დაგვრჩეს შემდგომი ეტაპის ქართველი „მებრძოლი“ ქალები. ესენი იყვნენ: ბარბარე ერისთავი-ჯოხაძე , ეკატერინე გაბაშვილი, ელისაბედ ბოლქვაძე, ქრისტინე შარაშენიძე, კატო მიქელაძე, დესპინე გელოვანი, მსოფლიოში პირველი დემოკრატიულად არჩეული მუსლიმანი ქალი დეპუტატი ფარი ხანუმ სოფიევა და სხვები, რომელთა ღვაწლი ფასდაუდებელია ქვეყნისათვის. ეს ჩამონათვალი კი არის მცირედი იმ ქალბატონებისა, რომლებმაც

[1] თამთა მეგრელიშვილი, «ქალის როლი საჯარო მმართველობაში“ თბილისი, 2018, გვ. 14.

სამშობლოსთვის შესაშური თავდადება, გამძლეობა და სიმტკიცე გამოიჩინეს ყველაზე რთულ პერიოდში. [2]

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად სქესისა“.[3] საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იყო ქალისა და მამაკაცის თანასწორობის აღიარების კუთხით. როგორც უკვე აღვნიშნე, თვით შოთა რუსთაველმა უკუაგდო გენდერული დისკრიმინაცია XII საუკუნეში და თავის გენიალურ ნაწარმოებში „ვეფხისტყაოსან“-ში გამოყენებული აქვს ფრაზა: **„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია“**. დღესდღეისობით კი, ამ განვითარებულ და ცივილურ სამყაროში - სადაც ყოველ მხრივ განვითარებულია ადამიანი, მაინც აქტუალურ და პრობლემურ საკითხად რჩება გენდერული დისკრიმინაციის საკითხი.

ჩემს მიერ ჩატარებული სოციალური კვლევისა და გამოკითხვის შედეგები მოწმობს იმას, რომ არ გაქვს სახარბიელო მდგომარეობა ქვეყანაში. ჯერ კიდევ ქართველი ხალხი შეპყრობილია ძველმოდური სტერეოტიპებთ. რათქმაუნდა ამას ყველაზე ვერ ვიტყვი, რადგანაც ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცდილობს გადავიდეს ევროპულ, ცივილურ და განვითარებულ ცხოვრებაზე და ამით დააფასონ ქალის, როგორც ძლიერი არსების როლი. ისინი ხედავენ ქალს როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეების მოგვარების ამომავალ და ნათელ წერტილად. ეს ყოველივე კი ნამდვილად სასიხარულოა და იმედის მომცემია, რადგან ძალიან ბევრი რამის შეცვლა შეუძლია ძლიერ ქალს თავისი გამძლეობით, მონდომებითა და გამჭრიახი გონებით. ამ ყოველივეზე კი მეტყველებს დღევანდელი საქართველოს, ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური სისტემა, სადაც მრავლად შევხვდებით ქალ პოლიტიკოსებს ეს იქნება დაბალ თუ მაღალ თანამდებობებზე. მიუხედავად ქალის პასიურობისა, თუკი გადავავლებთ ჩვენს ისტორიას თვალს, როგორც პოლიტიკურ ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში გვყავს შეუდარებელი ლიდერი ქალი, უძლიერესი დედოფლები და პრემიერ-მინისტრები, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ერის პოლიტიკური გეზის შეცვლაში. მათმა გაჭრიახმა გონებამ გადაარჩინა ჩვენი

[2] თამთა მეგრელიშვილი, „ქალის როლი საჯარო მმართველობაში“, თბილისი, 2018, გვ. 15.

[3] საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის I ნაწილი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპებს განამტკიცებს და ყველა ადამიანს აძლევს იმის გარანტიას, რომ მიუხედავად რაიმე ნიშნით განსხვავებულობისა, მას მოეპყრობიან თანასწორად.

სამშობლო, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა „საქართველო“ განადგურებას და ქართველი ერი გადაშენებას. თითქმის დაღუპული, განადგურებული და მტვრად ქცეული საქართველო წამოაყენეს ფეხზე, შთაბერეს სული და შეასხეს ხორცი თავიანთი სიცოცხლის ფასად, ბოლო ამოსუნთქმადე იბროლეს და შეინარჩუნეს სამშობლოს ერთობა და მთლიანობა.

რამდენიც არ უნდა ვიყვიროთ და ვამტკიცოთ, რომ ქართველები წარმოვადგენთ ევროპულ ქვეყანას, ჩვენდა სამწუხაროდ საქართველოში მამაკაცების დაახლოებით 80 % არ არის მომხრე გენდერული თანასწორობის და არა მხოლოდ მამაკაცები, სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ამ ყოველივეს ეთანხმება ქალთა დიდი ნაწილიც. ამის მიზეზი კი სწორედ არის ინფორმაციული ვაკუუმი, რადგან გენდერული თანასწორობა ესმით როგორც მამაკაცის მიერ ქალის ჩაგვრა. ტერმინის ფართო განმარტება კი მათთვის უცნობია დ მსჯელობენ მხოლოდ იქედან გამომდინარე რა ინფორმაციაც მათ ხელთაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) საკმაოდ დიდი ხანია არის ჩართული ქალთა უფლებების დაცვის საქმეში. ათასწლეულების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ამ კუთხით. სამაგისტრო ნაშრომის ძირითად მიზანსაც სწორედ ეს წარმოადგენს, რათა ქალთა უფლებებზე ზოგადად წარმოდგენა შეექმნას მოსახლეობას, ნუ იქნებიან შებოჭილი და შეზღუდული სტერეოტიპებიდან გამომდინარე, სწორად გაიგონ ტერმინი „გენდერული თანასწორობის“ მნიშვნელობა და შესაბამისად გამოიყენონ ის რეალურ ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით[4] იქნა აღიარებული სახელმწიფოს ვალდებულება სქესის მიუხედავად თანასწორად უზრუნველყოს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. მოგვიანებით ეს ვალდებულება განმტკიცდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით, რომლის 39-ე მუხლის[5] თანახმად ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო და ეკონომიკურ ჭრილში. ამ მნიშვნელოვან დოკუმენტებს წინ უძღოდა არაერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნაწარმოებები და პუბლიცისტური წერილები, მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია სერგეი მესხი.

[4] საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918 წელი, 26 მაისი.
[5] საქართველოს კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალი, თავი 3, მუხლი 39.

დავესესხები მის სიტყვებს: **„უცხო ქვეყნების და თითქმის ჩვენს ღარიბ ლიტერატურაშიაც და ყველასთვის, ვისაც კი გონება მამა-პაპური აზრებითა და ცრუ მორწმუნეობით აქვს დახშული, ცხადად დამტკიცებულია, რომ ქალი და კაცი თანასწორად არის გაჩენილი, რომ იმის დამოწმება, სხვადასხვა უფლებების წარმართვა, სიკეთის მაგივრად ვნებს კაცობრიობას და მის ბუნებას და ხასიათს ... დამტკიცებულია ათასი მაგალითით, რომ ქალის ტვინსა და ხშირად ხელსაც შეუძლია კაცობრიობის სასიკეთო მოქმედება და მუშაობა, როგორც კაცებისას“.**[6]

გენდერული თანასწორობა ძალზედ აქტუალური თემაა დღესდღეისობით საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი კანონით გარანტირებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა, მაინც ვაწყდებით ამ მხრივ უხეშ დარღვევებს.

საინტერესოა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ რა მდგომარეობა იყო და არის აღნიშნულს საკითხთან დაკავშირებით. ამისათვის გადავხედე რამოდენიმე ქვეყნის მდგომარეობას და მათ შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ, რომელსაც თანამედროვენი ეძახდნენ **„ევროპის ბებიას“**, რადგან მისი მმართველობის პერიოდში რადიკალურად შეიცვალა მთელი მსოფლიო, მას კავშირი ჰქონდა ევროპის სამეფო ოჯახებთან. ეს ეპოქა იყო გამოგონებების, ტექნოლოგიური რევოლუციის და ჯელტმენობის ბუმი. დედოფალი გარეგნულად მეოჯახე მონარქის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რეალურად კი პოლიტიკურ საკითხებში ძალზედ მტკიცე და შეუვალი გახლდათ.

ეგვიპტეში კაცებს და ქალებს ტახტის მემკვიდრეობაზე თანაბარი უფლება-მოვალეობები გააჩნდათ. იმ პერიოდისათვის ეგვიპტე ბევრად უფრო დემოკრატიული ქვეყანა იყო, იქ ტახტის მემკვიდრის სქესს მნიშვნელობა არ ჰქონდა და ქალთა უფლებები გათანაბრებული იყო მამაკაცის უფლებებთან. მაგრამ იყო გარკვეული კანონი, რომელიც ავალდებულებდა ქალს მამაკაცთან ერთად გაძღოლოდა ქვეყნის მმართველობას. სწორედ ამის გამო ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა ორჯერ ფიქტიურად იყო დაქორწინებული თავის უმცროსს ძმაზე.

---

[6] სერგეი მესხი, „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი?“, ჟურნალი „კრებული“, 1871 წელი., N4. დაიბეჭდა ს. მესხის ხელმოწერით.

ბრიტანელები ელიზაბედ მეორეს ახასიათებდნენ როგორც: **„ქალი კეთილი გულითა და რკინის ხასიათით“**. ომის პერიოდში ის თავისი სურვილით ჩაეწერა თავდაცვის რაზმში და გახდა სამხედრო ვალდებულება მოხდილი დედოფალი. ის ერთადერთი დედოფალი იყო, რომელსაც მოხდილი ჰქონდა სამხედრო ვალდებულება.

1492 წელი თავისუფლად შეგვიძლია დავასახელოთ **„ისაბელ კასტელიელის“** წლად, რადგან ამ პერიოდში, მისი მმართველობის ხანაში მოხდა სამი მნიშვნელოვანი მოვლენა. ეს მოვლენებია: **გრანადის აღება, კოლუმბიის მიერ ამერიკის აღმოჩენა და ებრაელებისა და მავრების განდევნა ესპანეთიდან.**

დედოფალი ანა, ის გახლდათ პირველი მონარქი გაერთიანებული ბრიტანეთის. სწორედ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში განიმტკიცა პოზიციები ინგლისმა შოტლანდიაში და ირლანდიაში.

ჩინეთის მმართველი უ ძეტინი ჩინეთს მართავდა 40 წელი და სწორედ მის სახელს უკავშირდება ჩინეთის გაფართოება, რაც გამოიხატება იმით რომ ის დაპყრობით ომებს ახორციელებდა ცენტრალურ აზიაში და კორეაში.

„რკინის ლედს“ - მარგალიტა ტეტჩერს ვერ დავტოვებთ ამ მრავალრიცხოვანი სიის მიღმა, რადგანაც მისი თავდადებული ბრძოლა საბჭოთა კავშირის მიმართ უდაოდ დასაფასებელია. მისი მეთაურობით განლაგდა ამერიკული რაკეტები დიდ ბრიტანეთსა და ევროპის რამოდენიმე ქვეყანაში. ის იყო ყველაზე ძლიერი და გამოჩენილი პოლიტიკოსი ქალი გასული საუკუნის ისტორიაში.

რაც შეეხება ეკატერინე მეორეს მისი მმართველობის პერიოდში საგრძნობლად შეიცვალა რუსეთის სახელმწიფოს ფართობი, დაიპყრო ყირიმი და ამით შავ ზღვაზეც მოიკიდა ფეხი. პოლონეთის შემდეგ მას მიწებიც შემოუერთდა და მუდმივად ჰქონდა კავშირი ევროპასთან და თავისი დროის ჭკვიან ადამიანებთან.

1989 წელს, ფრანგული რევოლუციის მე-200 წლის თავზე დაიწყო ახალი რევოლუციების წელი, საბჭოთა კავშირში დაიწყო გადანაცვლების ეპოქა.[7] ეს ყოველივე კი შეეხო საქართველოსაც. როგორც მერაბ მამადაშვილმა თქვა

[7] ე.გიდენსი, „სოციალოგია“, ფონდი ღია საზოგადოება საქართველოში, თბილისი, 2012 წელი, გვ. 338-421

„საქართველო დაემსგავსა პატარა ბავშვს, რომელსაც უნდა ესწავლა დამოუკიდებლად სიარული, ლაპარაკი, განეცადა ყმაწვილობა, მრავალი მსოფლმხედველობის მოსინჯვა და ცვლილება, რათა შემდგომში ის ზრდასრულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო“. ძალიან რთული „26 წლიანი“ პერიოდი გამოიარა საქართველომ. ეს იყო გლობალიზაცია, გლობალური და ლოკალური კონტექსტების შერევა, ქვეყანა აღმოჩნდა სტანსნაციონალური კატაკლიზმის წინაშე. ამ ცვლილებებმა კი არასახარბიელო ზეგავლენა მოახდინა ქალებზე, დაეცა ქალების წილი პარლამენტსა და პოლიტიკურ დაწესებულებებში. ამის ნათელი მაგალითია ჩეხოსლოვაკიის პარლამენტი, სადაც ქალი წევრების რაოდენობა 34 პროცენტიდან დაეცა 4 პროცენტამდე, პოლონეთში 20-დან 3 პროცენტამდე, ხოლო ბულგარეთში 21-დან 8 პროცენტამდე. [8]

1998 წლისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ლიდერი ქალი პარტიების მხოლოდ 11 პროცენტს ჰყავდა, ხოლო პარლამენტარ ქალთა რიცხვი შეადგენდა 11.4 პროცენტს. დროთა განმავლობაში კი ეს პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა და საშუალოდ მისმა კოეფიციენტმა 16.3 პროცენტს მიაღწია.[9]

მთელს მსოფლიოში შეინიშნება ქალის როლის აუცილებლობა როგორც საზოგადოებრივ, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად ყველაფრისა ქალს ყოველთვის უჭირს საზოგადოების დარწმუნება იმაში, რო მას აქვს სათანადო განათლება, შესაძლებლობა და გამოცდილება იმისა, რომ შეძლოს მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება. თვით ქალბატონი სუზანი თვლის, რომ **„არსებობს მოსაზრება რათქმაუნდა მცდარი, რომ თუ ქალმა პოლიტიკურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი მას სხვა დანარჩენი აქვს მობეზრებული და პოლიტიკით ცდილობს გართობას. სწორედ ამის გამო ქალი ხშირად ხდება საზოგადოების კრიტიკის ობიექტი. დღეს კი ის იძულებულია დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ქვეყნის კანონმდებლობაში ერის საკეთილდღეოდ სურს ცვლილებების შეტანა და ვთვლი პოლიტიკაში თუ კანონმდებლობაში ქალი გადამწყვეტ როლს თამაშობს“**.[10]

---

[8] ე.გიდენსი, „სოციალოგია“, ფონდი ღია საზოგადოება საქართველოში, თბილისი, 2012 წელი, გვ. 338-421

[9] თამთა მეგრელიშვილი, „ქალის როლი საჯარო მმართველობაში“, თბილისი, 2018, გვ. 15.

[10] სტატია «ქალის როლი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში“, 2010.

2016 წელს ჩატარებული იქნა **NDI**-ის მიერ კვლევა სახელწოდებით **„საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში“**, რომლის მეშვეობითაც შესწავლილ იქნა მოსახლეობის დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მოსაზრებას **„საქართველოში ქალებს ისევე კარგად შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება, როგორც მამაკაცებს“** ეთანხმება გამოკითხულ მამაკაცთა 76 პროცენტი, ხოლო გამოკითხულ ქალთა 85 პროცენტი. გამოკითხვაში ასევე იყო მეორე მოსაზრება შემდეგი სათაურით: **„საქართველოში ქალებს პოლიტიკურ პარტიაში დაწინაურების კარგი შესაძლებლობა აქვთ“** ეთანხმება გამოკითხულ მამაკაცთა 69 პროცენტი, ხოლო ქალთა 66 პროცენტი. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა ის, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ეთანხმება ქალის პოლიტიკაში მოღვაწეობას, მისი წვლილის შეტანას ქვეყნის წინსვლაში, მაგრამ ფაქტიურად რეალურ ცხოვრებაში ეს ყოველივე არ ხორციელდება.[11]

გაეროს ადამიანის განვითარების ანალიზში 2010 წლის მონაცემებით შევხვდებით ორი სახის ინდექსს. ესენი არის **გენდერის და განვითარების ინდექსი** და **გენდერული გაძლიერების ინდექსი**. ეს ყოველივე შემდეგ ერთმა ინდექსმა გააერთიანა და ჩაანაცვლა, რომელიც დღესდღეისობით ცნობილია **გენდერული უთანასწორობის** სახელით. გენდერის და განვითარების ინდექსი (GDI) წარმოადგენს ადამიანის განვითარების ინდექსს. მასში შემავალი კომპონენტები ემთხვევა ადამინის განვითარების ინდექსის კომპონენტებს და განსხვავება ამ ორ ინდექსს შორის ასხავს გენდერულ უთანასწორობას. მისი მაჩვენებლის მიხედვით, რომლებიც ხელმისაწვდომია 90-იანი წლების დასაწყისისთვის შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობა დაცული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ადამიანების განვითარების ინდექსის შემადგენელი კომპონენტების მიხედვით. მასში ჩართულია ასევე ისეთი ინდიკატორები, რომლებიც ითვლიან ქალების გაძლიერებას ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის შესაბამისად და აფასებენ მას მიღებული შედეგის მიხედვით.[12]

---

[11] მონაცემები აღებულია ვებგვერდიდან: https://www.ndi.org/georgia-polls

[12] გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით, თბილისი, 2012, გვ. 7.

გენდერული გაძლიერების საზომი (GEM) აჩვენებს, შეუძლიათ თუ არა ქალებს მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. აღნიშნული ინდექსების გამოთვლებითა და მიღებული შედეგებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში არსებობდა და დღემდე არსებობს მნიშვნელოვანი უთანასწორობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში.

1993–1995 წლებში არ ფიქსირდება მნიშვნელოვანი განსხვავება საზომებს შორის რაც მიუთითებს იმაზე, რომ არ არსებობდა გენდერული უთანასწორობა. თუ კი ვიმსჯელებთ საქართველოს მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის გენდერული სხვაობის ინდექსის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოში არსებული უთანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის ყველაზე დიდია პოლიტიკური ჩართულობის მაჩვენებლების მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანი უთანასწორობა არსებობს ეკონომიკური თვალსაზრისით, რასაც ვერ ვიტყვი განათლების სფეროზე. მისი მაჩვენებელი არის ძალზედ მინიმალური და კოეფიციენტი მერყეობს 0.923 დან 0.950 მდე.[13]

როგორც უკვე აღვნიშნე ისტორიულად ქალებს არ ჰქონდათ უფლება მონაწილეობა მიეღოთ პოლიტიკურ ცხოვრებაში და დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილებები. მე-19 და მე-20 საუკუნეებიდან აქტიურად იწყება კამპანიები, რომლებიც მხარს უჭერენ ქალის, როგორც დამოუკიდებელი, მიზანდასახული, ძლიერი და გამჭრიახი გონების მქონე ადამიანის ჩართულობას სხვადასხვა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ღონისძიებაში. აღნიშნული კამპანიები დღემდე გრძელდება და საკმაოდ ბევრი ადამიანი არის ჩართული და იღებს მონაწილეობას მის წარმატებით განხორციელებაში. ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ყველას თანაბარი უფლება გააჩნია მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში, განურჩევლად სქესისა. გაეროს მიერ შემუშავებული ერთობლივი პროექტი **"გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში"**[14] წარმატებული საქმიანობაა. პროექტის ჩატარების ფარგლებში მიღებულმა შედეგებმა ხელი შეუწყო ვალდებულებების შესრულებას, როგორც გენდერული

[13] გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით, თბილისი, 2012, გვ. 7-20.
[14] კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში, თბილისი, 2014.

თანასწორობისა, ასევე ადამიანის უფლებების კუთხით. მათმა ერთიანმა ძალისხმევამ და მონდომებამ განაპირობა ტაბუდადებული თემის წინ წამოწევა და მთავრობისა და საზოგადოების დღის წესრიგში მოყვანა. გაერო აქტიურად არის ჩართული ქალთა უფლებების დაცვაში და არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება აქვს გატარებული აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

გაეროს ქალთა ორგანიზაციამ საქართველოში მოღვაწეობა დაიწყო **UNIFEM**-ს სახელით 2001 წლიდან. მისი საქმიანობა მიზნად ისახავს სახელმწიფო და არასამთავრობო პარტნიორებისათვის დახმარების გაწევას საქართველოს ტერიტორიაზე გენდერული თანასწორობის მისაღწევად. არანაკლებ მნიშვნელოვანია პეკინის დეკლარაცია, რომელიც 1995 წელს იქნა მიღებული და ის ეხება ქალების ხელისუფლებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას. ეს საკითხი მუდმივად აქტუალურია და ყოველთვის დღის წესრიგშია. 1946 წელს ჩამოყალიბდა კომისია ქალთა მდგომარეობის საკითხებზე და მის მიზანს წარმოადგენდა რეკომენდაციებისა და მოხსენების მომზადება ქალთა უფლებების შესახებ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამოქალაქო, სოციალურ და საგანმანათლებლო სფეროებში. მის მიერ იქნა ჩატარებული კვლევა სახელწოდებით: **„საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“**, რომელიც ასახავდა ცალსახა დამოკიდებულებას მამაკაცისა და ქალის სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური როლებისა და ჩართულობის შესახებ.[15]

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2013 წლის იანვარში დამტკიცებულ ქალთა თანასწორობის უზრუნველყოფის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახულია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც კონკრეტულ მიმართულებებთან ერთად მოიცავენ გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისიის შექმნას. აღნიშნული კომისია კი მიზნად ისახავდა ემუშავა ქალთა თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გზების გატარებაზე. ადამიანთა თანასწორობის აღიარება და დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა. ხოლო სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დაცვა, მხოლოდ და მხოლოდ საკანონმდებლო რეგულაციების დაწესებით არ არის შემოფარგლული, ის სახელმწიფოსგან მოითხოვს

[15] მარიამ ბარამიძე, „ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“ თბილისი, 2019, გვ. 6-9.

სათანადო ღონისძიებების ჩატარებას და მის ჩართულობას პრობლემის აღმოსაფხვრელად.[16]

ასევე მნიშვნელოვანია 1975 წელი, რომელიც ასევე ცნობილია **„ქალთა საერთაშორისო წელი“**-ს სახელით. ამ წელს მეხიკომ უმასპინძლა ქალთა საერთაშორისო კონფერენციას.[17] ამ კონფერენციის შედეგად შედგა სამოქმედო გეგმა, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ და დაეცვათ ქალთა უფლებები. 1980 წელს კოპენჰაგენში გაიმართა ქალებისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი კონფერენცია[18] და ხელმოსაწერად მომზადდა კონვენცია, რომელიც მიმართული იყო ქალთა მიმართ ყველანაირი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. ასევე ნაიროში ჩატარდა მესამე კონფერენცია,[19] რომლის მიზანიც იყო, როგორც ყველა კონფერენციის მიზანს წარმოადგენა ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრა. სწორედ ამ კონფერენციების დახმარებით ჩაეყარა საფუძველი მსოფლიო კონფერენციებს 1990 წლებში და ისინი მიმართული იყო ქალთა უფლებების დაცვისაკენ. 1993 წელს ვენაში ჩატარდა ღონისძიება ქალთა უფლებების დაცვის შესახებ.[20] ამ ღონისძიებაში მონაწილე აქტივისტები მაქსიმალურად იყვნენ მობილიზებულნი, რომ ქალთა უფლებები შესულიყო დღის წესრიგში ლოზუნგუთ **„ ქალთა უფლებები-ადამიანის უფლებებია“**. კონფერენციაზე წარმატებულად დამტკიცდა ვენის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა, რომლის მიხედვითად **„ქალებისა და გოგონების უფლებები ადამიანის უფლებათა განუყოფელ ნაწილად“** გამოაცხადეს და მით უმეტესს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ყველანაირი დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე. [21]

---

[16]საქართველოს პარლამენტის დადგენილება-„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ, ქუთაისი, 24 იანვარი 2014წ. N1945-რს

[17] მარიამ ბარამიძე, „ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“ თბილისი, 2019, გვ. 19.

[18] მარიამ ბარამიძე, „ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“ თბილისი, 2019, გვ. 19.

[19] მარიამ ბარამიძე, „ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“ თბილისი, 2019, გვ. 19.

[20] A/CONF.157/24 (ნაწილი I), თავი III

[21] მარიამ ბარამიძე, „ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“ თბილისი, 2019, გვ. 6-28.

1.1 ქალთა განათლება

ქალთა ჩართულობაზე ნებისმიერ სფეროში დიდ ზეგავლენას ახდენს განათლება და პროფესიული სწავლება. განათლება არის შემოსავლის პროგნოზისათვის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც საკვანძო როლს თამაშობს სოციალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ამიტომაც საჭიროა და ამასთანავე სავალდებულოც კი, რომ განურჩევლად სქესისა ყველამ მიიღოს შესაბამისი განათლება თუნდაც დაწყებითი კლასიდან, რადგანაც შემდგომი განვითარებისაკენ მას ჰქონდეს შესაბამისი რესურსი. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა გვაძლევს იმის საშუალებას გოგონებმა და ბიჭებმა მიიღონ თანაბრად, ერთნაირი განათლება. მეცნიერული კვლევები ადასტურებენ, რომ თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობები გოგონებისა და ბიჭებისათვის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი და ხელმისაწვდომი დეტერმინატორია. ეს ყოველივე დადებითად აისახება ქვეყნის წინსვლაზე ყველა სფეროში. განათლების სფეროში გენდერულ თანასწორობაზე მსჯელობისას აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე არსებული სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი და შეფასება, ხოლო მეორე მხრივ კი ქვეყანაში არსებულ კულტურულ და სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტთან დაკავშირება. როლების გადანაწილება არ უკავშირდება ქალთა და მამაკაცთა თანაბარ რაოდენობრივ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროში. ოფიციალური სტატისტიკა ასევე მოწმობს იმას, რომ დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი მოდის იმ პირებზე, რომლებსაც აქვთ მიღებული საშუალო განათლება.

ჩატარებული გამოკვლევებიდან გამომდინარე ნათელია, რომ გენდერული თანასწორობა მოსახლეობის უმეტესობას ესმის, როგორც ოჯახური ძალადობა, მამაკაცის მიერ ქალის ჩაგვრა და სხვა მსგავსი მაგალითები. ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული და ინფორმაცია გაშუქებული განათლების თანაბარ შესაძლებლობებზე. მათი აზრით საზოგადოება არ არის სწორად ინფორმირებული, რაც უარყოფითად აისახება საქართველოში ქალთა მდგომარეობაზე. ჩვენთვის ნათელია, რომ ქალები უფრო მეტად შრომისმოყვარეები, მიზანსწრაფულები და მიზანდასახულები არიან, ვიდრე მამაკაცები იმიტომ, რომ სოციალური მოლოდინები

უზრუნველყოფენ „ მამაკაცური“ პოზიციის დაკავებას, ხოლო ქალებს ამ პირობებში უდიდესი ბრძოლა სჭირდებათ, რაც მათ ბრძოლის უნარს უვითარებს. ამის გამომწვევი მიზეზი კი გახლავთ შემდეგი: ოდითგანვე ქართულ ოჯახებში განათლების მიღების საკითხი სქესის კუთხით განიხილებოდა და უპირატესობა ენიჭებოდა ვაჟს, რადგანაც ის მიიჩნეოდა ოჯახის „პატრონად“და მარჩენალად.[22]

საქართველოში არსებული კანონმდებლობა ქალბატონების მიმართ არ არის დისკრიმინაციული, შესაბამისად ეს გულისხმობს განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობას. 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, სადაც ნათლადაა ნაჩვენები თანასწორი მოპყრობისათვის აუცილებელ წინაპირობად **„ განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა“**. ამავე კანონში არის გათვალისწინებული, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიებს შორის მიიჩნევა **„ქალისა და მამაკაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე“**. **(თავი 2. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები, მუხლი 4. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები, პუნქტი 2ბ)**. ამავე თავში მოცემულია გარანტიები განათლებისა და მეცნიერების სფეროში, რომლებიც გათვალისწინებულია განათლების ყველა საფეხურის, პროფესიისა და სპეციალობის თანაბარ ხელმისაწვდომლობაზე, ასევე საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში თანაბარ ჩართულობაზე, რომელსაც უზრუნველყოფს სახელმწიფო.[23]

გაეროს მიზანი „ხარისხიანი განათლების შესახებ“ მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის მიღწევის შესახებ. სამომავლოდ ეს ასპექტები იძლება შესაძლებლობას მივაღწიოთ შემდეგ შედეგებამდე: - განურჩევლად სქესისა შესაძლებელი იქნება თანაბარი წვდომა

[22] საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, კვლევის ანგარიში, მომზადებულია ACT-ის მიერ გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, 2013.

[23] ნათია გორგაძე, „გენდერული განათლება ზოგადსაგანმათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, 2015, გვ. 72-73.

ფინანსურად შედარებით ხელმისაწვდომ და ხარისხიან უმაღლეს სასწავლებლებზე; ასევე ხელმისაწვდომი იქნება საგანმანათლებლო პროგრამები როგორც შშმ პირებისათვის და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისათვის, მათაც მიეცემათ საშუალება მცირეოდენი წარმოდგენა შეიქმნან გენდერული თანასწორობის შესახებ და სამომავლოდ გამოიყენონ ის მათდა სასიკეთოდ.

მცირეოდენი ყურადღება დავუთმოთ სტუდენტთა გადანაწილებას წლების მიხედვით. 2011-2014 წლებში სტუდენტ გოგონათა რაოდენობა უფრო მეტი იყო, მათი საერთო მაჩვენებელი კი 55 პროცენტს შეადგენდა. თუმცა გოგონების რაოდენობა ოდნავ კლებისკენაა წამოსული 2013-2014 და 2014-2015 წლებში, რაც არც თუ ისე სახარბიელოა. ეს ყოველივე მოცემულია N1 დიაგრამაზე, რომელიც 2014 წელს არის გამოქვეყნებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.[24]

დიაგრამა 1. სტუდენტთა საერთო გადანაწილება 2011-2015წლებში



თუ კი თვალს გადავავლებთ საფეხურების მიხედვით გადანაწილებას, დავინახავთ რომ აქაც გოგონები ლიდერობენ, როგორც მაგისტრატურის ასევე დოქტორანტურის კუთხით. საქართველოში დოქტორანტ ქალთა რიცხვი მკვეთრათ მაღალია, რაც მიანიშნებს იმას, რომ ქალთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს უმაღლეს განათლებას, იმისათვის რომ იპოვოს პერსპექტიული სამსახური და

[24] განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემები 2014 წლის მიხედვით

მოახდინოს მის მიერ შეძენილი და დაგროვილი ცოდნის რეალიზაცია. რაც შეეხება პროფესიულ უმაღლეს განათლებას, ამ კუთხით უფრო ვაჟები არიან დაინტერესებულნი. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ვაჟების დიდი ნაწილი მოტივირებულია მოემზადოს პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის, რადგანაც პროფესიული განათლება მამაკაცებს უფრო მარტივად აძლევს საშუალებას დასაქმდნენ მომავალში მათთვის სასურველ დაწესებულებაში, ვიდრე ქალებს. საქართველოს ფარგლებში გოგონებს ცოდნის კომპონენტში უკეთესი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე ბიჭებს, მაგრამ გამოყენების კომპონენტის მიხედვით ბიჭები უფრო დაწინაურებულნი არიან, ვიდრე გოგონები. ეს მონაცემები ძალზედ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ის საშუალებას გვაძლევს პარალელი გავავლოთ და დავინახოთ უკუკავშირი მოსწავლეების სქესის მიხედვით მათ მიღწევებსა და არჩეულ პროფესიებს შორის. [25]

გენდერული თანასწორობის კანონი ასევე ითვალისწინებს, რომ დისკრიმინაციის გარეშე ქალსა და მამაკაცს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა თავად აირჩიონ მათთვის სასურველი პროფესია და მიმართულება სწავლების ყველა საფეხურზე. ეს თანასწორობა მიიღწევა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. სახელმწიფო ასევე ცდილობს და უზრუნველყოფს თანაბარი პირობების შექმნას ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, როგორც მამაკაცებისათვის ასევე ქალებისათვისაც.

როგორც უკვე აღვნიშნე მნიშვნელოვანია კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რომელიც უშუალოდ იქნება მიმართული განათლების სფეროზე და გამოკვლეული იქნება მასში წარმოქმნილი პრობლემები. იმისათვის, რომ უფრო მეტად მოხდეს მოსახლეობის ინფორმაციული ვაკუუმიდან გამოყვანა უმჯობესი იქნება თუ კი განათლების ყველა ეტაპზე გენდერული თანასწორობის შესახებ შევიტანთ ინფორმაციას და მასალებს. უნდა მოხდეს იმ მასალების და მაგალითების გამოხშირა სახელმძღვანელოებიდან, რომლებიც ამყარებენ გენდერულ სტერეოტიპებს და დისკრიმინაციას ქალსა და მამაკაცს შორის. ძირითადად ისეთი მაგალითები და მასალები უნდა იქნეს შეყვანილი წიგნებში, რომლებიც აღიარებს და

[25] განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემები 2014 წლის მიხედვით

ასევე ასწავლის ქალის როლს ისტორიაში, ამის ძალიან ბევრი მკაფიო და საამაყო მაგალითი გაქვს, რომლებზეც თემის პირველ ნაწილში ვისაუბრე.

1.2 ქალთა კარიერა

დღეს საქართველოში აქტუალური თემაა ქალის გენდერული როლი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცალსახაა საზოგადოების აზრი და მიდგომები. ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ნათელია, რომ წარსულში არსებული სტერეოტიპების მიხედვით, მამაკაცს უნდა მიეღწია კარიერული წარმატებისათვის, ხოლო ქალისათვის კარიერა უნდა ყოფილიყო მეორე ხარისხოვანი. ისინი აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს ტენდენცია საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა და ზოგ შემთხვევაში დღემდეც გრძელდება. კარიერასთან დაკავშირებით სქესის ნიშნით განსხვავებული იდეები განაპირობებს განსხვავებული პროფესიის არჩევას. ამ ყოველივემ განაპირობა საქართველოში **„მამაკაცური და ქალური“** პროფესიების ჩამოყალიბება და შემდგომში მისი განვითარება. სამწუხარო ფაქტია, რომ ეს სტერეოტიპული დამოკიდებულება ცუდად აისახება მომავალი თაობის პროფესიულ წინსვლაზე და მის განვითარებაზე. დღესდღეისობით საქართველოში ფასდება ის პროფესიები, რომლებიც მოითხოვს ფიზიკურ სიძლიერეს, ტექნიკურ აზროვნებას და საქმისადმი თავის გადაგებას, ამ ყოველივეს კი ასრულებენ მამაკაცები და ერთი შეხედვით ქალებისათვის მსგავსი პროფესიები მიუწვდომელია.

2013 წელს ჩატარდა კვლევა **„მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამებში და პროფესიებში მონაწილეობის ბარიერებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნის შესახებ“,** რომელმაც აჩვენა შემდეგი შედეგი: იმ პერიოდში როდესაც მოწაფე იღებს განათლებას, ეს ეხება სკოლის დაწყებით საფეხურს, ვითარდება და ბოლოს აღწევს საბოლოო ეტაპს-დასაქმებას, გოგონების აკადემიური მოწსრება და შემდგომში მისი მიღწევები უტოლდებოდა

ბიჭების მოსწრებას და მიღწევებს.[26] თუმცა ასევე კვლევაში ჩანს, რომ საბოლოო ჯამში ბიჭებთან შედარებით ნაკლები გოგონა აგრძელებდა კარიერას, რის მიზეზედად სახელდებოდა ის, რომ გოგონები უფრო ნაკლებად აფასებენ მათ შესაძლებლობებს. იმისათვის, რომ გოგონებში თვითშეფასება ავამაღლოთ საჭიროა სტერეოტიპების ჩამონგრევა და ასევე ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რათა მათ ირწმუნონ საკუთარი შესაძლებლობების და ხელი არ ჩაიქნიონ წარმატების მისაღწევად. ქვეყანაში გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა სამუშაო ძალის განვითარება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი საჭიროა შესაბამისი ინვესტიციების და სტრატეგიული გეგმების განხორციელება, რომლებიც უშუალოდ იქნებიან მიმართული პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამების განვითარებისაკენ.

ორგანიზაცია „ქალები მთავრობაში“ აღმასრულებელი დირექტორი სუზან ქროსბი მიიჩნევს, რომ ქალი მამაკაცთან შედარებით უფრო მიმტევებელია, დამთმობია და მას აზრთა სხვადასხვაობის ბალანსი შეუძლია. მისი თქმით, **„როდესაც ქალი ოფიციალურ შეხვედრას ესწრება თითქმის შეუძლებელია დაადგინო მისი პოლიტიკური მრწამსი, დემოკრატია ის თუ რესპუბლიკელი. მას შესწევს უნარი, რომ ამა თუ იმ საჭირბოროტო პრობლემის გადაჭრისას გადაუხვიოს პოლიტიკურ გეზს და წავიდეს გარკვეულ დათმობაზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქალისთვის მთავარია საკითხის დადებითად მოგვარება“.**[27]

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით და გაეროს პროექტით ჩაატარა კვლევა , რომელიც ეხმიანება გენდერული თანასწორობის კვირეულს.[28] კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა საჯარო მოხელემ. აქედან 86 პროცენტი მიიჩნევს, რომ გენდერული თანასწორობის, სამუშაო გარემოს და კარიერული წინსვლის კუთხით მამაკაცებს მეტი ძალაუფლება გააჩნიათ, 69 პროცენტი კი ფიქრობს, რომ მამაკაცები უფრო დაფასებულნი არიან სამსახურეობრივი საქმინობის მხრივ. ანგარისში და კვლევის განხილვისას რამოდენიმეჯერ გაიჟღერა კონკრეტულმა სიტყვამ **„უხილავი“**

[26] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
[27] სტატია «ქალის როლი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში“, 2010.
[28] მომზადებული და გამოცემულია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ხელშეწყობით.

სხვადასხვა ინტერპრეტაციით: **„უხილავი ძალა“**, **„უხილავი პრაქტიკა“** და **„უხილავი ბარიერები“** - ეს ის მიდგომებია, რომლებიც ქალს ხდის უხილავს. თუ კი ვიმსჯელებთ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ქალი და კაცი საჯარო მოხელის კარიერულ გზაზე რადიკალურად განსხვევებულია, რაც ვლინდება გენდერული უთანასწორობის სახით. თანაბარი პროფესიული კვალიფიკაციის პირობებში კაცები ქალებზე მეტად ხილვადები არიან და უფრო მეტი შანსი აქვთ კარიერული წინსვლისაკენ და განვითარებისაკენ.[29]

თითქოსდა ყველაფერი რიგზეა კანონდებლობის მიხედვით, თუმცაღა რჩება სირთულეები სქესთა შორის თანაბარი კომპეტენციის აღქმასა და აღიარებასთან დაკავშირებით. რათქმაუნდა ჯერ სამუშაოს პოვნა რთულია და უამრავი დაბრკოლების გადალახვა უწევთ ქალებს, მაგრამ ამით არ მთავრდება რიგი დაბრკოლებებისა. სამუშაოს პოვნის შემდეგ, მათ უფრო მეტი ბარიერი აქვთ გადასალახი კარიერული წინვლისათვის.

თუ კი გადავხედავთ გასული წლების მონაცემებს აშშ-ში 500 ყველაზე ცნობილი და პოლულარული კომპანიიდან მხოლოდ 23-ს უძღვებოდა ქალი, ეს ყოველივე კი განპირობებული იყო გენდერული უთანასწორობის მიერ. მკვლევარების თქმით საქმე გაქვს ღრმად გამჯდარ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის მთავარი მიზანია გენდერული თანასწორობის დამკვიდრება როგორც საჯარო სფეროში, ასევე მენეჯერულ პოზიციებზეც ნებისმიერ დაწესებულებაში. კვლევის შედეგად გამოკითხულთა 71 პროცენტი მიიჩნევს, რომ კარიერულ მიღწევებს კაცები უფრო სწრაფად აღწევენ, ამის ძირითად მიზეზად კი სახელდება ის, რომ ქალები უფრო მეტად ფლობენ კარიერული წარმატებისაკენ მიმავალი გზის თეორიულ ცოდნას, ვიდრე მამაკაცები. რა თქმა უნდა მხოლოდ თეორიული ცოდნა როდია საკმარისი იმისათვის, რომ მივაღწიოთ კარიერულ წინსვლასა და წარმატებების. ამ გზაზე ძალიან ბევრ და მძიმე დაბრკოლებებთან გვიწევს შეჯახება და გამკვლავება. ერთ-ერთი ასეთი დაბრკოლება

[29] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).

კი სწორედ არის სტერეოტიპები, რომლებსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები ჩვენს საზოგადოებაში.

როგორც მრავალი ლიტერატურის მიმოხილვისას, ასევე კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე იკვეთება ბარიერები, რომლებიც არსებობს ქალის კარიერული განვითარების გზაზე. არსებობს ასევე უხილავი ბარიერები, რომლებიც ცნობილია **„შუშის ჭერის“** სახელით.[30] გამოკითხულთა 33 პროცენტი მიიჩნევს რომ ქალს უფრო მეტი ბარიერი ხვდება კარიეულ გზაზე ვიდრე მამაკაცებს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული უხილავი ბარიერი, რომლებიც ქალებს ხვდებად კარიეულ გზაზე არის შვილოსნობა. დამსაქმებლები ყოველთვის ცდილობენ სამსახურში მიიღონ და დააწინაურონ სამომავლოდ მამაკაცები, ვინაიდან მათ ნაკლებად აქვთ ოჯახური ვალდებულებები. ქალები ამ დროს ხვდებიან „პოზიტიური“ დისკრიმინაციის მსხვერპლნი, ვინაიდან მათ ხელმძღვანელები არ განიხილავენ სრული ან ზეგანაკვეთური სამუშაოს შესასრულებელ კანდიდატებად. ეს კი ვფიქრობ არის ერთ-ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი ბარიერი, რომელიც შესაძლებელია აღმოჩნდეს სავალალოც კი, ვინაიდან მსგავსი დამოკიდებულებით შესაძლებელია თანამშრომელში მოტივაციის ჩაკვლა და მით უარესი მისი დაკარგვა.

აღნიშნული ბარიერების ჩამოყალიბების მიზეზად კი ისევ და ისევ სახელდება სტერეოტიპები, რომლებიც იშვიათ შემთხვევაში უარყოფითად აისახება მიმდინარე პროცესებზე. კვლევების შედეგად გამოიკვეთა ასევე „ქალური“ და „მამაკაცური“ პროფესიები, რომლებზეც ზემოთ თავებში ვისაუბრე. კვლევაში მონაწილე კაცების 45 პროცენტი ეთანხმება იმ მოაზრებას, რომ საჯარო სამსახურში არის პროფესიები, რომლებიც უკეთ გამოსდით კაცებს. ქალების შემთხვევაში კი მათი დიდი ნაწილი დაახლოებით 54 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს მოსაზრება არის არამართებული.

---

[30] ტერმინი “შუშის ჭერი” პირველად 1986 წელს გამოიყენეს, როდესაც უნდოდათ აღეწერათ ის უხილავი ბარიერები, რომლებსაც ქალები დაწინაურებისას და სამსახურებრივი წინსვლისას აწყდებიან. “შუშის ჭერის” კლასიკური განმარტებით არის დამაბრკოლებელი ბარიერების ჯაჭვი, რომელიც ქალებს, მიუხედავად მათი კვალიფიკაციისა და უნარებისა, აფერხებს კარიერულ დაწინაურებაში. თუ ჰორიზონტალური სეგრეგაციისას მამაკაცებით დომინირებული სექტორები ე.წ. ფულიანი სექტორებია, ხოლო ქალებით დომინირებულია მზრუნველობითი და დაბალანაზღაურებადი პროფესიები; ვერტიკალური სეგრეგაციისას ქალების მაღალი კონცენტრაცია დაბალ რგოლში გვხვდება - მარტივად ჩანაცვლებად სამუშაოებზე, ხოლო კაცების კი გადაწყვეტილების მიმღებ, მაღალანაზღაურებად პოზიციებზე. - გ. ხონელიძე, „სახელფასო სხვაობის გამომწვევი მიზეზები და გადაჭრის გზები“, საფარი, 2019 წელი, გვ. 5;

ქალებისა და მამაკაცების უმრავლესობა მიიჩვენს და აფიქსირებს მოსაზრებას, რომ აუცილებელი და ძალზედ მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის განხილვა საჯარო სამსახურების განვითარების კუთხით და მათი სურვილია, რომ შეიცვალოს დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ საჯარო მოხელეები არ ამბობენ უარს მონაწილობა მიიღონ გენდერული საკითხების განხილვაში, რაც ერთის მხრივ არის იმედის მომცემი, რომ ოდესღაც შეიძლება აღნიშნული პრობლემა შეიცვალოს უკეთესობისაკენ.

კვლევების მსვლელობისას დ მისი განხილვისას გამოიკვეთა კიდევ ერთი ფაქტი, რომ საჯარო სამსახურებში უფრო მეტად არის დაცული ქალთა გარანტიები, ვიდრე კერძო სექტორში. საჯარო სამსახურში მკაცრად არის გათვალისწინებული და დაცული ყველა ის კრიტერიუმი, რომლის მეშვეობითაც ხდება კადრების აყვანა, გადამზადება, ანაზღაურების გაცემა და სხვა ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ ეხება აღნიშნულ საკითხს. რესპოდენტების თქმით, საჯარო სამსახურში ქალისა და კაცისათვის საწყისი ეტაპები და გზა კარიერული წინსვლისაკენ არის მსგავსი, თუმცა შემდგომში როდესაც საუბარია სქესთან დაკავშირებულ ბარიერებზე მკაცრად იკვეთება ის ბარიერები, რომ საჯარო სამსახურში არსებობს სამართლებრივი ჩარჩოები. ეს ყოველივე შესაძლოა კერძო სექტორთან შედარებით დისკრიმინაციის პრევენციას უფრო მეტად ემსახურება, მაგრამ გენდერულ თანასწორობას ვერ უზრუნველყოფს.

თავი II. გენდერული თანასწორობის პრობლემა

საკითხის გენდერულ ჭრილში განხილვისას ვაწყდებით სტერეოტიპული აზროვნების სხვადასხვა ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა განვითარების პოტენციალს არა ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, არამედ მისი საზოგადოების მიერ აღქმული გენდერული როლების მიხედვით. მსგავსი სტრეოტიპული აზროვნების ნათელი მაგალითია პროფესიების არჩევისას არსებული სეგრეგაცია და სოციალური პოზიციონირების მოლოდინი, რომელიც სქესობრივი ნიშნით არის დაყოფილი. სწორედ ამ კუთხითაა მნიშვნელოვანი იმ მოსაზრების და კონტექსტის გაანალიზება, რომელშიც მამაკაცებსა და ქალებს, მათი სქესობრივი განსხვავებების მიხედვით, განსხვავებული გენდერული როლები ენიჭებათ როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ყოველივე კი უდავოდ კავშირშია განათლებასთან. გენდერული თანასწორობა ასევე გულისხმობს თანაბარ შესაძლებლობებს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარებისათვის კონტრიბუციისა და სარგებლის მიღებას (Status of Women Canada, 2007).

გენდერული საკითხების ანალიზისათვის, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებისა და გამოცდილების გათვალისწინების გარდა, ასევე აუცილებელია ქვეყანაში არსებული გარემოს ზედმიწევნით ზუსტი ცოდნა და მასზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების პრობლემატიკა საქართველოში უმეტესწილად სოციალური და პოლიტიკური პერსპექტივებიდან გამომდინარე არის გაანალიზებული და შესწავლილი. ქალთა პოლიტიკური პასიურობა პრობლემურ საკითხებს შორის საკვანძოდ წარმოჩნდება. მოცემულ სიტუაციაში ნაკლებად არის გააზრებული ის ასპექტები, რომლებსაც მივყავართ მოცემულ მდგომარეობამდე, ნაკლებად ხდება იმ საკითხის გაშუქება, რომლებიც ეხება განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებს.

უფრო მომგებიანი და საზრიანი იქნება ამ საკითხის განხილვა განათლების კუთხით, რადგანაც **„ინდივიდების განათლების მაღალ საფეხურთან ერთად,**

მცირდება სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის, მათ შორის ოჯახური ძალადობის, მაღალი ფერტილობის მაგალითები და იზრდება ეკონომიკური სარგებელი“,[31] აღნიშნული ციტატა კი უკავშირდება მსოფლიო ბანკს. სხვადასხვა კუთხით თუ ვიმსჯელებთ საგანმანათლებლო მიღწევები არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი პოტენციალის და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის. ფუკუ თავის ნაშრომში მნიშვნელოვან საკითხად ასახელებს სკოლის გავლენას გენდერული როლების ფორმირებაში, ვინაიდან თავად სკოლაზეა დამოკიდებული თუ როგორი შთაბეჭდილება შეექმნება მოზარდს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება მასწავლებლის როლს, ის არის გადამწყვეტი ფიგურანტი. მაგრამ ძალზედ სამწუხარო ფაქტს ვაწყდებით მასწავლებელთა გამოკითხვის შემდეგ. კვლევებმა აჩვენა, რომ თვით მასწავლებლებიც არ არიან გაცნობიერებულნი და სათანადოდ ინფორმირებულნი გენდერულ ჭრილში, მაგრამ ისინი მიიჩნევენ, რომ გენდერული განათლება საჭიროა არა მხოლოდ მოსწავლეებისათვის, არამედ მათთვისაც. ამანდა ჩემპენი ყოველთვის ამტკიცებდა იმას, რომ **„მასწავლებლები უმეტეს შემთხვევაში ვერ აცნობიერებენ საკუთარ სუბიექტურ და მიკერძოებულ ქცევებს, რადგან ისინი მთელი თავისი ემოციებით არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში და თავისი ქცევების ანალიზი ყურადღების მიღმა რჩებათ“**.

ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც ძირითადად ეფუძნება (Garah, 2001) დაწყებითი სკოლის მასწავლებლის ინტერვიუებსა და დაკვირვებებს, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მასწავლებელთა ცოდნა გენდერის შესახებ არ არის ობიექტური, საუბრისას და მსჯელობისას ისინი არ იყენებენ არც თეორიულ და არც კვლევებზე დაფუძნებულ არგუმენტებს. მათ ასევე არ აქვთ ინფორმაცია საკანონმდებლო აქტების შესახებ და ფიქრობენ, რომ საქართველოში გენდერულ თანასწორობას არა კანონები, არამედ საზოგადოებრივი შეხედულებები და სტერეოტიპები წარმართავენ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ისინი ღრმად არიან თავიანთ თავში დარწმუნებულნი, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას არ აქცევენ არანაირ ყურადღებას მოსწავლეთა სქესს და მათი თქმით ორივე სქესის წარმომადგენლის მიმართ თანაბარ ყურადღებას იჩენენ. მათთვის ყველა ბავშვი ერთნაირია განურჩევლად სქესისა,

[31] მსოფლიო ბანკი, 2005

მაგრამ საინტერესოა რა ხდება რეალურად და როგორ იყენებენ ამ ყოველივეს პრაქტიკაში? რეალობა კი ისევ მათთან საუბრიდან გამომდინარე არის შემდეგნაირი: ძირითადი საქმიანობა, როგორიცაა რაიმის მოტანა, ღონისძიებების დაგეგმვა და შემდგომ მისი განხორციელება, ასევე საგანმანათლებლო რესურსის გამოყენება ამ შემთხვევაში ძირითადად პრიორიტეტი ენიჭებათ ბიჭებს. მაგრამ ისინი ამ ფაქტს ანეიტრალებენ იმით, რომ გოგონები ჩართული ყავთ სხვა აქტივობებში. საუბრისას ისინი აღნიშნავენ იმასაც, რომ თავის დროზე თავადაც არ უსწავლიათ აღნიშნული საკითხი და არც რაიმე ტრენინგი აქვთ გავლილი პრობლემატიკის შესწავლასთან და მისი აღმოფხვრის გზებთან დაკავშირებით.[32]

კვლევებმა აჩვენა და დაადასტურა ის ფაქტიც, რომ ბიჭები მეტ ყურადღებას ითხოვენ ვიდრე გოგონები, უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა, შესაბამისად მასწავლებლებიც მათკენ არიან მიდრეკილნი, რაც ჩემი აზრით არის დაუშვებელი, რადგან შეიძლება ამ ყველაფერმა გამოიწვიოს ბავშვში მონდომებისა და სწავლის სურვილის ჩაკვლა, არაერთი ფაქტი და მაგალითი გაქვს ამისა. მსგავსი კვლევა ჩატარდა 1980 წელს, მაგრამ თანამედროვე ტენდენციებით ჩატარებულმა კვლევებმაც კი მსგავსი შედეგი გამოიღო და მსგავსი ტენდენცია გაიმეორა. როდესაც გოგონები მონდომებულნი არიან დავალება შეასრულონ ჯგუფურად და თანაბარი ძალებით, ამ დროს ბიჭები ორიენტირებულნი არიან ინდივიდუალიზმისაკენ და ცდილობენ დაიკავონ დომინანტი პოზიცია კლასში. აღნიშნულ გამოწვევას კი მხოლოდ კარგად მომზადებული მასწავლებელი თუ უპასუხებს ეფექტურად და შეძლებს თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებას ორივე სქესისთვის. [33]

სკოლა ზოგადად მიიჩნევა ყველაზე უსაფრთხო ადგილად ბავშვისთვის. ჩემი მოსაზრებით არა მხოლოდ მასწავლებლის მიერ ხდება სქესის გარჩევა, უამრავი მაგალითი გვაქვს საპირისპირო მოსაზრებისა, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეების მხრიდანაც განსხვავებული დამოკიდებულებაა მასწავლებლების მიმართ სქესის მიხედვით. განათლების გლობალური კამპანიის მიერ ჩატარებული კვლევები გვიჩვენებენ, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა უფრო „ჭკვიან“

[32] ნათია გორგაძე, გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურებზე, 2015, გვ. 31.

[33] ნათია გორგაძე, გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურებზე, 2015, გვ. 34-35.

მასწავლებლად მიიჩნევენ მამაკაცებს, ვიდრე ქალებს. უდავო საკითხია ის ფაქტი, რომ არა მხოლოდ ცალკეული მასწავლებლები, არამედ მთელი სკოლა, მთელი კოლექტივი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მოსწავლეების გენდერულ სოციალიზმში. სწორედ მასზე დაკვირვებით უვითარდებათ მოსწავლეებს გენდერთან მიმართებაში გარკვეული პოზიციები. განათლების ფორმალური კერები, მათ შორის სკოლა წარმოადგენს მთავარ აგენტს მამაკაცისა და ქალის კულტურული მოლოდინებისა და გაძლიერებისათვის.

დღესდღეისობით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს დაახლოებით 300-ზე მეტი მოქმედი ტრენინგი გააჩნია,[34] მაგრამ ისევ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება, რომ პროგრამა რომელიც უშუალოდ გენდერს განიხილავდეს განათლების ჭრილში არ გააჩნიათ. ეს ყოველივე ძალზედ სამწუხაროა, რადგანაც აუცილებელია პედაგოგს გავლილი ჰქონდეს შესაბამისი კურსი/ტრენინგი, რათა კლასში წამოშობილ პრობლემას მარტივად გაუმკლავდეს და შეძლოს მისი აღმოფხვრა ისე, რომ არც ერთი მხარე იყოს დაზარალებული. სატრენინგო პროგრამაში ასევე არსადაა გათვალისწინებული მასწავლებელთა მგრძნობელობის ამაღლება გენდერული საკითხის გარშემო. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრენინგში არ არის გათვალისწინებული და ორგანიზებული სატრენინგო პროგრამები გენდერულ მგრძნობელობაზე, ზოგადი საკითხები კი მოცემულია ფრაგმენტალურად და ზედაპირულად. ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საუნივერსიტეტო პროგრამაში არ არსებობს მომავალი-პოტენციური პედაგოგებისათვის ცნობიერების ამაღლებისა და სათანადო ცოდნის შეძენაზე ორიენტირებული პროგრამა, რომლის შესწავლის შემდეგაც პედაგოგს ექნება შესაძლებლობა მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენოს უკვე პრაქტიკაში.

ჩვენს ირგვლივ არსებული სახელმძღვანელოები კი ხელს უწყობს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას გენდერული როლების შესახებ. ისინი არ ასახავენ გენდერული თანასწორობის საკითხებს, შესაბამისად არ ამყარებენ მოსწავლეების პოზიტიურ დამოკიდებულებას. წიგნებში უხვად არის გამოყენებული სტერეოტიპული მაგალითები გენდერულ როლებთან და ფუნქციებთან

[34] ინტერვიუ ცენტრის დირექტორის მოადგილესთან - ირინა აბულაძესთან, 29 ივლისი, 2014.

დაკავშირებით და მათი უმეტესი ნაწილი არ აძლევს მოსწავლეს იმის საშუალებას, რომ დაწყებით საფეხურზევე გაიაზროს გენდერის მართებული მნიშვნელობა და აიმაღლოს ცნობიერება გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით.

როგორც უკვე აღვნიშნე ამ საკითხის მოგვარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მასწავლებლის დამოკიდებულება, მისი ცოდნა და შემდგომში ამ ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში. ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ ისინი ამჟღავნებენ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას სწავლების პროცესში და განასხვავებენ მოსწავლეებს სქესის მიხედვით. ძირითადად საუბრობენ ისევ და ისევ თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე. სწორედაც ამ კვლევის მიზანს წარმოადგენს ის, რომ გავიგოთ მათი ხედვის არეალი განათლების ჭრილში გენდერული მგრძნობელობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად მკაფიოდ ჩანს თუ რამდენად არიან ინფორმირებული მასწავლებლები, მათ უდიდესს ნაწილს ზუსტად არც აქვთ გაცნობიერებული სიტყვა „გენდერი“-ს ზუსტი მნიშვნელობა და ვერც არჩევენ ერთმანეთისაგან გენდერისა და სქესის ურთიერთგამომრიცხავ განმარტებებს. ისინი სიტყვა გენდერის ხსენებაზე პარალელს ავლებენ ოჯახურ ძალადობაზე. აქედან გამომდინარე არც კი უარყოფენ იმ ფაქტს, რომ სკოლის და მასწავლებლის როლი აუცილებელია ტერმინის სწორად გაგებისათვის და აღქმისათვის, მაგრამ ასევე უსვამენ ხაზს იმას, რომ მხოლოდ სკოლა ვერ შეცვლის იმას, რასაც ისინი ოჯახში ხედავენ. რათქმაუნდა ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები, შეუძლებელი არაფერია, ყველაფრის შეცვლა არის შესაძლებელი თუ კი ამ ყველაფერს მოვინდომებთ. ისევ და ისევ განვმეორდები, ამისთვის საჭირო და აუცილებელია პედაგოგთა გადამზადება და შესაბამისი სწავლების ჩაშვება დაწყებით საფეხურებზე.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს განათლების სფეროში არსებული ვითარების შესწავლა და მასზე მოქმედი ფაქტორების დადგენა. საჭიროდ მივიჩნევ, რომ ეს ყოველივე მიმოგვეხილა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პერსპექტივიდან გამომდინარე. კიდევ ერთი არგუმენტი ამისა არის ის, რომ რეალურად ქვეყნის ზემოთ აღნიშნული სფეროები მჭიდრო კავშირში არის ერთმანეთთან და ურთიერთზეგავლენას ახდენს იმ კონკრეტული სიტუაციის წარმოშობისა და დამკვიდრებისათვის, რაც დღესდღეისობით არის გამოვლენილი

სქესთაშორისი თანასწორობის კუთხით. განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ზოგადი მოსაზრება, რომელშიც ყალიბდება განათლების პოლიტიკა.

2.1 ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ სარბიელზე

ევროპული ღირებულებების დამკვიდრების გზაზე საქართველოსათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმ ნიშნულთან მიახლოება, რომელიც დამტკიცებულ იქნა გაეროს სოციალური და ეკონომკური საბჭოს მიერ. მისი მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა 30 პროცენტიანი ჩართულობის მიღწევა.[35] ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი ცვლილებები და ნაბიჯები გადადგა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით. სწორედ ეს ცვლილებები წარმოადგენს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესს. როგორც უკვე აღვნიშნეთ გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი სახელმწიფომ მიიღო 2010 წელს, რომელიც ითვალისწინებს ქალთა უსაფრთხოებას, დასაქმებას ბაზარზე და ქალთა ჩართულობის ხელშეწყობას პოლიტიკაში. 2012 წელს საარჩევნო კოდექსი შევიდა ცვლილება, რომელიც მოიცავდა გენდერული ბალანსის დაცვისათვის პარტიების ფინანსურ წახალისებას.[36] სახელმწიფო პარტიებს 10 პროცენტზე მეტით დააფინანსებდა, თუ ისინი თავიანთ პარტიაში თუნდაც ხელოვნურად ყოველ ათეულში ორ ქალ კანდიდატს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში მისი განვითარებისა და წინსვლის წინა პირობაა ევროპის ქვეყნებში ქალთა რიცხვი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- საფრანგეთის პარლამენტი - 577 პარლამენტარიდან 155 არის ქალი;
- დიდი ბრიტანეთის პარლამენტი - 650 პარლამენტარიდან 143 ქალი;
- ნორვეგიის პარლამენტი - 159 პარლამენტარიდან 67 ქალი;

[35] პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, 1995 წლის 4-15 სექტემბერი, პარაგრაფი 182.
[36] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 143, ქარტიული სიის წარდგენა.

- გერმანიის პარლამენტი - 630 პარლამენტარიდან 229 ქალი;

პოლიტიკა მმართველობის სფერო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც დაკავშირებულია ლიდერობასთან. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ყველა ქვეყანაში სხვადასხვა თანაფარდობითაა ქალთა და მამაკაცთა ჩართულობა პოლიტიკაში. საყურადღებოა საქართველოს მდგომარეობა, რადგანაც ჩვენს ქვეყანაში ქალების 11 პროცენტია ჩართული პოლიტიკაში. კვლევებიდან გამომდინარე ნაჩვენებია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა მართებულად მიიჩნევს ქალების ჩართულობას პოლიტიკაში, რადგან ამით მოგვარდება მთელი რიგი პრობლემებისა.

ქალი თავიდანვე მიიჩნეოდა ლიბერალად და დიპლომატად თავისი მრავალფუნქციური ბუნებიდან გამომდინარე. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ძველად მუსლიმნები ქართველ ქალებს იყენებდნენ დიპლომატიური მისიისათვის. მსგავსი დამოკიდებულება განისაზღვრება იმით, რომ ქალს შეუძლია მრავალ საკითხზე ფიქრი და ამასთანავე წარმატებული მოლაპარაკებების წარმართვა. ასევე მას თავიანთი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე შეუძლია შექმნას ცივილური, მყუდრო და მშვიდი სამუშაო გარემო, რაც სამუშაო პროცესის უკეთ წარმართვისათვის იდეალური არჩევანია. სასურველია, რომ პოლიტიკაში იყოს გენდერული ბალანსი, რომელიც უზრუნველყოფს თვითშეგნების ამაღლებას საზოგადოებაში, სტერეოტიპების ჩამონგრევას და ქალთა დიკრიმინაციას. სტერეოტიპების ნგრვის ერთ ერთი კარგი საშუალება კი არის „კვოტური სისტემა“.

სლოვენიაში გაერთიანებულ სოციალურ დემოკრატებს ჰქონდათ 33 პროცენტი კვოტა ორივე სქესისათვის. რაც შეეხება ჩეხეთს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან არჩეულთა 25 პროცენტი უნდა იყოს ქალი, თუ კი ამ მოთხოვნას ის ვერ დააკმაყოფილებს მაშინ, ქალთა ორგანიზაციას აქვს უფლება დაასახელოს ექსტრაკანდიდატები კვოტის შესავსებად. უნგრეთს კი აქვს დაწესებული 20 პროცენტიანი ზღვარი. დიდ ბრიტანეტში 2001 წელს პარლამენტმა მიიღო სქესთა დისკრიმინაციის აქტი, რომლის მეშვეობითაც მათ ეძლეოდათ შესაძლებლობა

განეხორციელებინათ პოზიტიური ქმედებები ქალი კანდიდატების სასარგებლოდ და წაეხალისებინათ ისინი.[37]

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში პოლიტიკის მიმართულებით ქალთა როლი და რიცხვი იზრდება, გენდერული ბალანსის მისაღწევად კი ქალები მოითხოვენ ეფექტური მეთოდების გამოყენებას. კვოტი სწორედ რომ ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმია , რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ნახტომისებური ზრდა ქალთა რაოდენობისა. კვოტირების ეფექტური და წარმატებული ნიმუშია შიდა პარტიული კვოტები, რომლებიც გამოიყენება ჩრდილოეთ ქვეყნებში, ქვეყნებში სადაც მაღალია პოლიტიკაში მოღვაწე ქალთა რაოდენობა. ქალთა ჩართულობა დადებითად და პოზიტიურად აისახება პოლიტიკის განსაზღვრისას და შემდგომ მისი ფორმირებისას, ეს ყოველივე კი დასტურდება სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტის გამოცდილებიდან გამომდინარე. ბოლო პერიოდში გენდერული კვოტირება განხილვის და განსჯის საგანი გახდა, ვინაიდან ქალთა ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესში, როგორც მამაკაცის ადამიანის ფუნდამეტური უფლებაა. ეს უფლებები კი აღიარებულია საერთაშორისო და რეგიონალური სამართლის ინსტიტუტების მიერ, როგორიცაა „ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია“, „კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და სხვანი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში გაქვს პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, ქალთა უფლება დამცველები მაინც ფიქრობენ, რომ ეს კვოტური სისტემა დადებითად აისახება და საუკეთესო შედეგს აჩვენებს ქალთა პოლიტიკაში ჩართულობაზე.

მეორე მსოფლიო ომამდე და მას შემდგომ პერიოდშიც კი მრავალი სამართლებრივი აქტი შეიქმნა, რომელიც ძირითადად ეხებოდა ადამინის უფლებების დაცვას. გაეროს წესდების 55-ე მუხლში კი მკაფიოდ არის აღნიშნული ის ფაქტი, რომ ის ხელს უწყობს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას და დაცვას საყოველთაოდ, განურჩევლად რასის, სქესის, ენის და

[37] მარიამ ჩიკვილაძე, „ქალთა კვოტირების საკითხი საქართველოში 1990 წლიდან 2016 წლამდე“, თბილისი, 2017, გვ. 43.

რელიგიისა“.[38] გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალის როლის გაზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ მთელი ეს პროცესი მოიცავს რიგ სირთულეებს, განსაკუთრებით მუსლიმნურ ქვეყნებში, სადაც ქალს უამრავი რამ ეკრძალება და მის უფლებებზე მაღლა ტრადიცია და ადათი დგას.

2.2 ქართული ტენდენციები და რეალობა. დასაქმებისა და ჩართულობის ხელშეწყობა

საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.[39] 2010 წელს კი საერთაშორისო ორგანიზაციების, მთავრობისა და ადგილობრივი არასამთავრობო თანამშრომლობის შედეგად მიღებულ იქნა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. ეს კანონი ისახავდა მიზნად გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას. ამ კანონის არსებობამ შემოიტანა პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის აუცილებლობა. საქართველოს მთავრობამ 2018 წელს ქალზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის განხორციელების გეგმა შეიმუშავა, 2018-2020 წლებში კი ეს გეგმა დაამტკიცა. [40]

საქართველოს დამოუკიდებლობის 30 წლის თავზე ჩატარებული საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ცალსახად მეტყველებს, რომ ქვეყანაში კვლავ დაბალია ქალთა პოლიტიკაში ჩართულობა. თუ კი გადავავლებთ თვალს წინა წლების მონაცემებს, აშკარად დავინახავთ დღევანდელ რეალობას და წინსვლას უკეთესობისაკენ. 1998 წლის მონაცემებით ქალთა რაოდენობის ჩართულობა პოლიტიკაში შეადგენდა 11 პროცენტს, მომდევნო წლებში ამ პროცენტულმა მაჩვენებელმა პროგრესი განიცადა და ის 2004 წლისათვის უკვე 7.2

[38] თამთა მეგრელიშვილი, „ქალის როლი საჯარო მმართველობაში“, თბილისი, 2018, გვ. 17.
[39] საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მუხლი 2.
[40] ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, თბილისი, 2018, გვ. 4-22.

პროცენტიდან - 9.5 პროცენტამდე გაიზარდა.[41] ხოლო რაც შეეხება მომდევნო წელს, 2005 წლისათვის მაჩვენებელი 12 პროცენტს შეადგენდა. ქალთა წარმომადგენლობა 2008 წლისათვის 8 პროცენტს შეადგენდა, რაც საქართველოს პარლამენტის არსებობის მანძილზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო. ვარდების რევოლუციის შემდეგ მინისტრთა კაბინეტში ქალთა რაოდენობა შეადგენდა 4 ერთეულს. 2012-2016 წლებში პარლამენტში გვყავდა 18 პარლამენტარი ქალი, ხოლო 2016-2020 წლებში კი საპარლამენტო მოწვევაზე 150 დეპუტატიდან 24 ქალი დეპუტატი. საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია რეგიონებში. მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო თელავის საკრებულო, სადაც 33 წევრიდან მხოლოს 2 არის ქალი. [42]

2012 წლის მონაცემებით საქართველოს პარლამენტში ქალთა რაოდენობა შეადგენდა 6 პროცენტს. მსგავსი დაბალი მაჩვენებელი კი განპირობებული იყო დეპუტატთა სიმცირით. 2016 წლის არჩევნებში კი საპარლამენტო მანდატი მოიპოვა 24-მა ქალმა, რაც სრული რაოდენობის 16 პროცენტს შეადგენდა.[43]

როგორც ვიცით, ქალების ჩართულობა პოლიტიკაში არის წინაპირობა მათი განვითარებისა და წინსვლისა. 90-იანი წლების დასაწყისში ქართულ პოლიტიკაში ქალთა რაოდენობის სიმცირე არც კი უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც ამ პერიოდისათვის ჩვენი ქვეყანა „ძლივს იდგა ფეხზე“. პოლიტიკა, ეს არის ლიდერობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მმართველობის სფერო. სტატისტიკიდან გამომდინარე სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა თანაფარდობაა. საყურადღებოა საქართველოს, ჩვენი მშობლიური ქვეყნის მდგომარეობა, რადგან ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაში ქალთ ჩართულობა შეადგენს 11 პროცენტს.

რამოდენიმე წლის განმავლობაში არ გვქონია ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დადებითი მოვლენა მოხდა. 2010 წელს პარლამენტმა შეიმუშავა გენდერული თანასწორობის საბჭო, შემდეგ კი იმავე წლის მარტში ის გახდა მუდმივმოქმედი ორგანო. ამ კანონის შემოღება კი მიზნად ისახავდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას, ქალის და მამაკაცის უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

---

[41] თამთა მეგრელიშვილი, „ქალის როლი საჯარო მმართველობაში“, თბილისი, 2018, გვ. 19.
[42] თამთა მეგრელიშვილი, „ქალის როლი საჯარო მმართველობაში“, თბილისი, 2018, გვ. 19-20.
[43] თამთა მეგრელიშვილი, „ქალის როლი საჯარო მმართველობაში“, თბილისი, 2018, გვ. 19-20.

ძალზედ სამწუხარო ფაქტია ის, რომ საქართველოს პარლამენტში ქალთა რაოდენობა მკვეთრად ჩამორჩება საშუალო მაჩვენებლებს, ამ ყოველივემ კი წარმოშვა ვალდებულება კვოტების არსებობისა. ეს კი არის ხელოვნურად გაზრდა მაჩვენებლისა, ხშირ შემთხვევაში სწორედ კვოტური სისტემის დამსახურებაა ქალთა დასაქმება და საჯარო სფეროში მისი გამოჩენა. ამასთან დაკავშირებით გაიმართა ძალიან ბევრი დებატები და სხდომები. უმრავლესობას ქალების ჩართვა პოლიტიკაში მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნდა, მაგრამ მაინც ვერ თანხმდებოდნენ კვოტური სისტემის ჩამოყალიბებაზე. სხვა ქვეყნებს თუ გადავხედავთ, მაგალითად ნორვეგიას, გერმანიას და ა.შ. ისინი 1970-1980 წლებიდან უერთდებიან ამ სისტემას და თანდათანობით ზრდიან ქალთა ჩართულობას პოლიტიკაში.

გადავხედოთ 2001 წლიდან 2017 წლამდე ჩვენი ქვეყნის სათავეში მოღვაწე ქალთა კვოტას. ის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- 2001-2008 წწ ნინო ბურჯანაძე გახლდათ საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე, ასევე ის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა 2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის იანვრამდე და 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის იანვრამდე;
- სალომე ზურაბიშვილი - აწ უკვე საქართველოს პრეზიდენტი, ის 2004 წლის მარტიდან 2005 წლის ოქტომბრამდე იკავებდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას;
- მანანა კობახიძე გახლდათ საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე და ასევე ქართული ოცნების დემოკრატიული საქართველოს თავჯდომარე;
- ვერა ქობალია - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. ის აღნიშნულ თანამდებობას იკავებდა 2010 წლის 2 ივლისიდან 2021 წლის 25 ოქტომბრამდე;
- ეკა ტყეშელაშვილი - საგარეო საქმეთა მინისტრი 2008 წელს;
- თეა წულუკიანი - საქართველოს იუსტიცის მინისტრი 2012 წლის 25 ოქტომბრიდან 2021 წლამდე და სხვა.[44]

[44] თამთა მეგრელიშვილი, „ქალის როლი საჯარო მმართველობაში“, თბილისი, 2018, გვ. 15-16.

ეს არის მცირედი ჩამონათვალი იმ პერიოდში მოღვაწე ქალი პოლიტიკოსებისა. მათ არსებულ პირობებში გამოსცადეს საკუთარი თავი და შესაძლებლობა მმართველ პოზიციაზე მამაკაცი პოლიტიკოსების მსგავსად. შეიძინეს საჭირო უნარ-ჩვევები და მცირედი წვლილი შეიტანეს ქვეყნის განვითარებაში. ისინი მოქმედებდნენ იმ ჩარჩოების ფარგლებში, რომელში მოქმედების/გაქანების უფლებაც და საშუალებაც მისცეს მათ. ძალზედ მნიშვნელოვანია მოხდეს ქალი ლიდერების რაოდენობის ზრდა, რომელთაც თავიანთი გამჭრიახი გონებითა და ფართო ხედვით შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში. ამ საკითხის წინ წამოწევა არის ერთ-ერთი ნათელი წერტილი იმისა, რომ გვქონდეს უფრო მეტი შესაძლებლობა და გარემოება, რომელიც ხელს შეუწყობს გვყავდეს ძლიერი ქალთა გუნდი და მათი რესურსი გამოყენებულ იქნეს სწორად და რაციონალურად.

როგორც უკვე ავღნიშნე საქართველოს ხელი აქვს მოწერილი ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტზე, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის მიღწევას. მასთან დაკავშირებული ვითარება ცალკე საკითხად უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან ის უფრო ფართო პრობლემას წარმოადგენს. საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობა, განსაკუთრებით კი პოლიტიკაში ეს არის ინდიკატორი ქვეყანაში თანასწორობისა და დემოკრატიის დამყარების. მსოფლიო მასშტაბით ქალები აქტიურად იყვნენ ჩართულნი დემოკრატიის დასამყარებლად, ასევე დიდი იყო ქალთა ჩართულობა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ აქციებზე. საქართველოს კანონმდებლობა ქალს და მამაკაცს თანაბარ უფლებებს ანიჭებს, თუმცა ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მაინც შეზღუდულია და ჩამორჩება გაეროს მიერ დასახულ მიზანს. ქალების მონაწილეობის მნიშვნელობა და მისი დადებითი ზეგავლენა ქვეყნის წარმატებისათვის ყველა ექსპერტისა თუ პოლიტიკური ლიდერის მიერ არის აღიარებული.

„გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის“ მე-6 მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებისას და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დასაშვებია სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ან/და მათთვის უპირატესობის მინიჭება, რაც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან. მაგალითისთვის მოვიყვან

სფეროს, სადაც მამაკაცთა რაოდენობა ჭარბობს ქალთა რაოდენობას, ესეთია ძალოვანი სტრუქტურა, სადაც მამაკაცთა რაოდენობა 66 %-ს შეადგენს.[45] ყოველწლიურად საჯარო სამსახურის მიერ ქვეყნდება შემაჯამებელი ანგარიში, სადაც მოცემულია მონაცემები დასაქმებულების შესახებ გენდერულ ჭრილში. 2015-2016-2017 წლებში ისევ დ ისევ დომინანტი ადგილი ეკავათ მამაკაცებს.[46]

სახელმწიფო დაწესებულებებში მაღალი თანამდებობების დასაკავებლად ქალებისა და მამაკაცებისათვის აუცილებელ მახასიათებლებს საზოგადოების უმეტესი ნაწილი აფასებს ერთნაირად. პროფესიონალიზმი, გამჭრიახობა, მორალური სისპეტაკე და პოზიციის სიმტკიცე საერთოა ქალებისა და კაცებისათვის.

მცირეოდენი ყურადღება დავუთმოთ ქალთა მონაწილეობას თვითმმართველობის ორგანოებში, სადაც არც თუ ისე კარგი ვითარება გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლის არჩევნებში მაჩვენებელი 14 პროცენტს შეადგენდა, ის 2002 წელს 12 პროცენტამდე დაეცა. დროთა განმავლობაში კი ისევ დაუბრუნდა მის საწყის მაჩვენებელს და ეს მოხდა 2006 წელს, ამავე წელს პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატებიდან ქალები წარმოადგენდენ 16.3 პროცენტს, მაჟორიტარებიდან კი 8.3 პროცენტს.[47] დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში სამჯერ ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელშიც გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია - რაც უფრო დიდია ადმინისტრაციული ერთეული, მით ნაკლებია ქალების წარმომადგენლობა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქალთა ჩართულობისა პოლიტიკაში გამოიკვეთა 2006 წელს კონფლიქტურ რეგიონებში. მაჩვენებელი გადანაწილებულია შემდეგნაირად: ლიახვის ხეობაში არის 21.4 პროცენტი, ხოლო აფხაზეთში 64.3 პროცენტია. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი დაფიქსირდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ამის მთავარი მიზეზი კი ისევ და ისევ გახლავთ სტერეოტიპები და ადათ-წესები. მარნეულში დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი არის 1.9 პროცენტი, ხოლო ბოლნისში 4.7 პროცენტი. 2012 წლის აგვისტოში საქართველოში 19 მინისტრიდან, მხოლოდ 5 იყო ქალი, რაც საერთო მაჩვენებლის 26,5 პროცენტს

[45] თამთა მეგრელიშვილი, „ქალის როლი საჯარო მმართველობაში“, თბილისი, 2018, გვ. 23-24.
[46] საჯარო სამსახურის ბიურო, 2015-2016-2017 წლების ანგარიში.
[47] ნათია გორგაძე, „გენდერული განათლება ზოგადსაგანმათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, 2015, გვ. 44

შეადგენდა, 2013 წლისათვის მაჩვენებელი 15 პროცენტამდე შემცირდა, რაც გულისხმობს იმას,რომ 20 მინისტრიდან მხოლოდ 3 იყო ქალი. [48]

სხვა მოქმედ სტრუქტურებსაც თუ გადავხედვთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროკურატურის სისტემაში 279 ქალია, სასამართლოს კუთხით თუ შევხედავთ ქალთა მოსამართლეების საერთო რაოდენობის 48 პროცენტს შეადგენს. უზენაესს სასამართლოში 19-დან ქალთა რაოდენობა შეადგენს 8-ს და ა.შ. [49]

მოკლე მიმოხილვით მინდა თვალსაჩინო გავხადო საჯარო სექტორში დასაქმებულთა გადანაწილება გენდერულ ჭრილში, ამისათვის წარმოგიდგენთ ცხრილს N1 სადაც თვალნათლივ ჩანს სხვაობა დასაქმებულ მამკაცებსა და დასაქმებულ ქალებს შორის. [50]

ცხრილი N1.

წ ე ლ ი	ჯამური რაოდენობა	ქ ა ლ ი	კ ა ც ი
2015 წელი	53109	16551	36558
2016 წელი	51242	15076	36166
2017 წელი	46708	14331	32377

იმავე წლების და იმავე ანგარიშეზე დაყრდნობით საჯარო სექტორში ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასაქმებულთა რაოდენობა წარმოდგენილი არის შემდეგი სახის როგორც რაოდენობრივი ასევე პროცენტული თანაფარდობით, ცხრილის N2[51]

[48] ბაგრატია, თ. „საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი გედერულ ჭრილში“, 2013.
[49] ნათია გორგაძე, „გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე“, 2015, გვ. 44.
[50] თამთა მეგრელიშვილი, „ქალის როლი საჯარო მმართველობაში“, თბილისი, 2018, გვ. 24.
[51] თამთა მეგრელიშვილი, „ქალის როლი საჯარო მმართველობაში“, თბილისი, 2018, გვ. 24.

ცხრილი N2.

წ ე ლ ი	დასაქმებულთა რაოდენობა	ქ ა ლ ი	კ ა ც ი
2015 წელი	4334	3369 (74%)	956 (26%)
2016 წელი	5633	4404 (78%)	1229 (22%)
2017 წელი	5680	4186 (74%)	1494 (26%)

ძალზედ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უსაფრთხოების სისტემაში ქალთა წარმომადგენლობა არის ძალზედ დაბალი, ამის მიზეზი კი არის სწორედ ის გენდერული სტერეოტიპები და დამოკიდებულება საზოგადოების მიმართ, რაც გავრცელებულია სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში. ჩვენს ქვეყანას ხელი აქვს მოწერილი ყველა იმ მნიშვნელოვან დოკუმენტზე, რომელიც ისახავს მიზნად გენდერული თანამშრომლობის მიღწევას. აქედან გამომდინარე თუ კი გადავხედავთ წლების მონაცემებს აშკარად შეინიშნება პროგრესი. პარლამენტის არსებობის მანძილზე დეპუტატ ქალთა საერთო რაოდენობა არასოდეს აცდენილა 10 პროცენტიან ნიშნულს, მაგრამ ამ ეტაპისათვის გვაქვს უკვე ის შედეგი, რომ 150 დეპუტატიდან 17 ქალია, რაც თითქმის უახლოვდება 11 პროცენტს.[52] ამ მაჩვენებლიდან გამომდინარე ჯერჯერობით მაინც შორს ვართ დასახული მიზნისაგან. პრობლემების და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭიროა ყველა სტრუქტურაში საჭირო სამოქმედო გეგმის დასახვა და არა მარტო დასახვა, მისი განხორციელება.

არასახარბიელო მდგომარეობა გაქვს ასევე თვითმმართველობით ორგანოებში. შეძლებისდაგვარად განვიხილავ წლების მიხედვით თითოეულ ორგანოს. დღევანდელი მონაცემებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა მხოლოდ 10 პროცენტი მონაწილეობს, რაც იმაზე მიუთითებს რომ 1998 წლიდან საგრძნობლად არის ქალთა მაჩვენებელი შემცირებული. რაც შეეხება პროკურატურის სისტემას 2013 წლის 22 დეკემბრის მონაცემებით იქ მომუშავე მუშაკთა რაოდენობა შეადგენდა 839 პერსონალს, აქედან კი 279 იყო მხოლოდ ქალი. ამასთან ერთად 430

[52] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გენდერული სტატისტიკა, „ქალი და კაცები საქართველოში“, 2013.

პროკურორიდან 104 არის ქალი, 85 გამომძიებლიდან კი მხოლოდ 9 ქალი არის გამომძიებელი. სასამართლო ხელისუფლებაში შედარებით უკეთ არის დაბალანსებული აღნიშნული საკითხი და ქალთა რაოდენობა შეადგენდა 2012 წლის მდგომარეობით 48 პროცენტს. უფრო სიღრმისეულად თუ განვიხილავთ საკითხს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალთა წარმომადგენლობა სასამართლო ხელისუფლებაში გამოიყურება შემდეგნაირად:

- უზენაესს სასამართლოში 19 მოსამართლიდან 8 არის ქალი მოსამართლე, რომელიც პროცენტულად არის 42 %;
- სააპელაციო სასამართლოში 52 მოსამართლიდან 28 ქალია, რაც შეადგენს საერთო რაოდენობის 54 პროცენტს;
- საკონსტიტუციო სასამართლოში 9 კადრიდან 3 არის ქალი, ანუ 33 პროცენტი;
- სამოქალაქო სასამართლოში კი 173 მოსამართლიდან 82 ქალია, ეს კი საერთო რაოდენობის 47 პროცენტია. [53]

როდესაც ვსაუბრობთ ქალის პოლიტიკაში და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ჩართულობაზე, ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა გავამახვლოთ იმ დამოკიდებელებებზე, რომლებიც არსებობს სამოქალაქო საზოგადოებაში. 2013 წელს გაეროს მიერ ჩატარებულ კვლევაში **„საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“** მკაფიოდ ჩანს საზოგადოების დამოკიდებულება მამაკაცისა და ქალის ხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური შესაძლებლობებისა და შესაბამისად, როლების შესახებ.

Mckisey - მ დაიწყო კვლევა 2007 წლიდან ქალთა საკითხების ირგვლივ, ამ კვლევაში ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქალის როლის განხილვა გლობალურ სამუშაო ადგილებზე, მათი გამოცდილება და მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, ასევე ამ კვლევის შედეგად გამოკვლეულია ორგანიზაციული პერფორმანსის გაუმჯობესებული მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში. მისი ბოლო კვლევა, რომელიც აჯამებს 235 წამყვანი ევროპული კომპანიის შედეგებს ეხება ქალს ლიდერ პოზიციაზე ბიზნესის კუთხით. შედეგებმა აჩვენა, რომ

[53] მარიამ ჩიკვილაძე, „ქალთა კვოტირების საკითხი საქართველოში 1990 წლიდან 2016 წლამდე“, თბილისი, 2017, გვ. 42-44.

ქალების ქცევის თავისებურებები გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო პოზიტიურია და დადებით შედეგს იძლევა, ვიდრე იგიგე სიტუაციაში მამაკაცების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

საინტერესოა რა ხდება ტენდენციების კუთხით საქართველოში. რამდენად ვითვალისწინებთ საერთაშორისო გამოცდილებას. სწორედ ამ მიზნით 2013 წლის დეკემბერში ჩატარდა IBR კვლევა სახელწოდებით „ქალები გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე“. ეს კვლევა ჩატარდა კერძო სექტორში და შედეგებმა აჩვენა სავალალო მდგომარეობა.

ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული კვლები კი ცხადყოფს, რომ გენდერული დისბალანსი ყველა სფეროში და ყველა საფეხურზე გვხვდება. დომინანტური ტრენდები ზღუდავს ქალის რესურსის ოპტიმალურ გააზრებას და სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით მათ გამოყენებას. იმისათვის, რომ შეიქმნას გენდერული თანასწორობის კულტურა მრავალწლიანი სტრანსფორმაცია გვჭირდება. პრობლემას მხოლოდ წლები არ წარმოადგენს, პრობლემა არის საზოგადოება, სტერეოტიპული აზროვნება, რელიგია, კულტურა და სხვანი. სწორედ ეს ყოველივე ზღუდავს ქალის თვითრეალიზაციის არეალს, რაც შემდეგისთვის ნეგატიურად აისახება ქვეყნის განვითარებაზე.

გენდერული უთანასწორობის ინდექსით საქართველო სამწუხაროდ 81-ე ადგილზეა, მაშინ როდესაც ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან აზერბაიჯანი 54-ე ადგილზეა, ხოლო სომხეთი 59-ე ადგილს იკავებს.[54]

[54] ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები და გამოწვევები, 2014, გვ. 34.

თავი III. გენდერული დისბალანსი და სამსახურში მიღების ბერიერები

როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, საქართველოშიც არასახარბიელო დამოკიდებულებაა გენდერული თანასწორობის მიმართ. 2010 წელს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მთავარ მიზანს წარმოადგენს სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა. ჩვენს ქვეყანაში არსებობს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, რომელიც ქალის და კაცის უფლებებს თანაბარ პირობებში აქცევს. ახალი საკანონმდებლო კოდექსით თუ კი ვიმსჯელებთ, საკანონმდებლო კუთხით თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ რეალურად დიდ შეუთავსებლობას ვეჯახებით. სამწუხაროდ რეალობა ცდება კანონით გათვალისწინებულ რეგულაციებს. 2013 წელს ინფორმაციის განვითარების თავისუფალმა ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა, რომელიც გვთავაზობს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა სტატისტიკას გენდერულ ჭრილში. საჯარო ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, დასაქმებულების 70.7 პროცენტი კაცები არიან და ქალები მხოლოდ 29.3 პროცენტს შეადგენენ. ეს მონაცემები კი ძალზედ საგანგაშოა, მით უმეტესს იმ პირობებში როცა საჯარო სექტორები გაცილებით კონკურენტუნარიანები არის ხელფასებისა და სამუშაო პირობების მიხედვით, ვიდრე კერძო სექტორები. საჯარო სექტორი არის ერთადერთი სივრცე, სადაც სახელფასო პოლიტიკა რეგულირდება კანონით და დისკრიმინაციას არ აქვს ადგილი. აღნიშნულ სექტორთან შედარებით სხვა სექტორებში მამაკაცთან შედარებით ქალის შრომა ძალზედ იაფია. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ინფორმაცია, რომლის თქმითაც დაქირავებით დასაქმებული ქალების საშუალო თვიური შემოსავალი მამაკაცებთან შედარებით დაახლოებით 50 პროცენტით ნაკლებია.

გენდერულ თანასწორობას სახელმწიფოსთან ერთად არეგულირებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტები. ამ ინსტიტუტებს მიეკუთვნება :

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1998 წლის დეკლარაცია, კონვენციები და რეკომენდაციები.
- ევროკავშირის დირექტივები: - ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ანაზღაურების პრინციპთან დაკავშირებით; - ქალთა და მამაკაცთა

მოპყრობის შესახებ დასაქმების; - პროფესიული ტრენინგისა და დაწინაურების ხელშეწყობისა და თანაბარი სამუშაო პირობების საკითხებში; - შრომით ურთიერთობაში და პროფესიაში თანასწორი მოპყრობის შესახებ; - გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალის და მამაკაცის თანაბარი ჩართულობის შესახებ და ა.შ;[55]

გენდერულ ჭრილში დასაქმების და უმუშევრობის მაჩვენებლის განხილვისას აუცილებლად არის ყურადღება მისაქცევი ის ფაქტი, რომ 2012 წელს მის წინა წელთან მიმართებით მამაკაცების უმუშევრობის დონე 0.6 პროცენტით შემცირდა, ხოლო ქალებში ეს მაჩვენებელი 0.7 პროცენტით გაიზარდა. ამ ყოველივეს მიუხედავად ქალებში უმუშევრობის დონე მაინც დაბალია, ვინაიდან მათი უმეტესი ნაწილი დიასახლისია და არ მიეკუთვნებიან აქტიური მოსახლეობის რიცხვს. მათი ეს რიცხოვნობა ორჯერ აღემატება მამაკაცების მაჩვენებელს, რაც სავალალოა ქვეყნისათვის. 2012 წლისათვის ქალების არააქტიურობის დონე შეადგენდა 42.6 პროცენტს, მამაკაცებში კი 21.8 პროცენტს. სწორედ ამ პროცენტული მაჩვენებლიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დაბალია ქალთა დასაქმების დონე. [56]

საქართველოს მონაცემებით თუ კი ვიმსჯელებთ საჯარო სექტორში დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი შედგენს 44 პროცენტს, ხოლო რაც შეეხება კერძო სექტორს აქ დასაქმებულ ქალთა რაოდენობა აღემატება საჯაროს და შეადგენს 56 პროცენტს. ძალზედ საინტერესოა ისიც, რომ 2011 წლამდე ქალები უფრო მეტად სახელმწიფო სექტორში იყვნენ დასაქმებულნი, თუმცა ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვიც.

ასევე რადიკალური განსხვავებაა საჯარო დაწესებულებების მიხედვით დასაქმებულთა გენდერულ ბალანს შორის. ამის ნათელი მაგალითია სახელმწიფოების ცენტრალური და სახელმწიფო მინისტრების აპატარებში დასაქმებულ მამაკაცთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც შეადგენს 78.6 პროცენტს, ეს ყოველივე კი რეკორდული მაჩვებელია სხვა საჯარო სამსახურებთან შედარებით. ეს მაჩვენებელი განპირობებულია იქედან გამომდინარე, რომ

[55] სპეციალური ანგარიში შრომით ურთიერთობებში ქალთა დისკრიმინაციის შესახებ, ქეა საერთაშორისო კავკასიაში, 20 ოქტომბერი, თბილისი, 2014.
[56] უმუშევრობის სტატისტიკა 2009-2012 წლები.

ძირითადად ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულნი არიან მამაკაცები. თუ კი გადავხედავთ მონაცემებს ძალოვარი სტრუქტურის მიღმა დავინახავთ რომ სახელმწიფო მინისტრების აპარატებში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა პროცენტულად აღწევს 56.5-იანი ნიშნულის. ანალოგიური სიტუაციაა სამართლის იურიდიულ პირებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში დასაქმებულთა კუთხითაც. განსხვავებული მდგომარეობაა ადგილობრივი თვითმმართველობის კუთხით, ეს იქნება მერია თუ გამგეობა. მათ თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე ძალოვანი სტრუქტურები არ გააჩნიათ, მაგრამ მამაკაცთა რაოდენობა საგრძნობლად აღემატება ქალთა რაოდენობას და ის შეადგენს 67.5 პროცენტს.

საქართველოს საჯარო დაწესებულებებში ხელმძღვნელ პოზიციებზე ეს იქნება განყოფილების უფროსი თუ მასზე მაღალი რგოლის პოზიციები დასაქმებული თანამშრომლების შესახებ საჯარო დაწესებულებების შედეგად გამოვლინდა, რომ ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულია 9250 პირი, რომელთაგან უმრავლესობას წარმოადგენენ მამაკაცები. უმაღლეს პოზიციაზე დასაქმებული მამაკაცების რაოდენობაა 7245, ხოლო ქალების კი 2005.[57] მსგავსი მკვეთრი სხვაობა კი არც თუ ისე სახარბიელოა. ადამიანთა უფლებების დამცავი ორგანიზაციების მიერ 2014 წელს მოხდა ალტერნატიული ანგარიშის გაგზავნა CEDAW კომიტეტში, სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება იყო გამახვილებული ქალთა ჩართულობის სიმცირეზე როგორც ეკონომიურ, ასევე პოლიტიკურ სფეროში. კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებში აღნიშნულია ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქალთა თანაბარი მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით მაღალ პოზიციებზე და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში. ასევე მათ რეკომენდაციებში საუბარი იყო სავალდებულო კვოტების შემოღებაზე ყველა პოლიტიკური პარტიისათვის, რათა ხელოვნურად მაინც მოხდეს ქალთა ჩართულობის ზრდა შესაბამის ორგანოში. ასევე მათი რეკომენდაციების მიხედვით, ისინი სახელმწიფოს მოუწოდებენ ქალები ჩართონ ისეთ სამოქმედო გეგმაში რომლის მიზანიც იქნება კონფლიქტების გადაჭრა.

[57] ნათია გორგაძე, გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, 2015, გვ. 67.

როგორც ყველა სამსახური განსხვადება მისი სამუშაო გარემოთი და შესასრულებები ვალდებულებებით, ასევე განსხვავებულია სამსახურში მიღების კრიტერიუმები. შესაბამის პოზიციაზე კანდიდატის შერჩევა ხდება მისი პიროვნული და პროფესიული თვისებების მიხედვით და არა სქესის ნიშნით. რათქმაუნდა ყველა სფეროს აქვს თავისი მოთხოვნილებები, ეს იქნება სერთიფიკატი, შესაბამისი რეზიუმე თუ გამოცდილება. არ უნდა ხდებოდეს სქესის ნიშნით დიფერენცირება. კომპანიის წარმატებული საქმიანობისათვის სავალდებულო და აუცილებელი წინაპირობაც კია გენდერული დისბალანსი.

თუ კი ვიმესჯელებთ ბიზნეს სექტორიდან გამომდინარე 2012 წლის მონაცემებით ამ სექტორში დასაქმებულია 504 400 ადამიანი, ამათგან კი ქალთა რაოდენობა შეადგენს 38 პროცენტს დანარჩენი 62 პროცენტი კი არის მამაკაცი. ტერიტორიული გადანაწილებით თუ კი გადავხედავთ მონაცემებს ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან ქალთა რაოდენობა შეადგენს 57.5 პროცენტს თბილისში, რაც შეეხება რეგიონებს ყველაზე დაბალი წილი მოდის გურიაში და რაჭა-ლეჩხუმში. დასაქმებულთა შრომის ანაზაურება სქესის და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით არის განსხვავებული. მკაფიო სხვაობის თვალნათლივ დასანახად წარმოგიდგენთ დიაგრამას.



რაც შეეხება მსხვილ საწარმოებს მათში დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 34 პროცენტია ქალი. მცირე და საშუალო საწარმოებში კი ქალთა

რაოდენობა მერყეობს 42 პროცენტიდან 43 პროცენტამდე. აღნიშნული მაჩვენებლები გამომდინარეობს ისევ და ისევ ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან, ვინაიდან და რადგანაც მსხვილი საწარმოები ძირითადად მაინც მამაკაცის პროფესიებზეა გათვლილი. ასევე ანალიზიდან მკაფიოდ ჩანს, რომ საშუალო თვიური ანაზღაურება სფეროების მიხედვით არის განსხვავებული. განსხვავებების თვალნათვილ საჩვენებლად წარმოგიდგენთ ცხრილს N3.

ცხრილი N3.

დასახელება	**საშუალო ანაზღაურება**	**დაბალი ანაზღაურება**
საფინანსო სექტორი	**1402,3**	**-**
ელექრტოენერგიის,აირისა და წყლის წარმოება	**919**	**-**
განათლება	**-**	**355,1**
სასტუმროები და რესტორნები	**-**	**397,5**

რეალობიდან გამომდინარე ქალთა მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა როგორც დასაქმების, ასევე ანაზღაურების კუთხით. საკითხის გაანალიზებისას ასევე გასათვალისწინებელია კულტურული ფაქტორები და მოსახლეობის დამოკიდებულება, ასევე საყურადღებოა და დღის წესრიგშია მისაღები ადეკვატური ზომები და ღონისძიებების გატარება, რათა შემცირდეს სხვაობა. ამ სხვაობის შესამცირებლად კი როგორც ზემოთ აღვნიშნე საჭიროა სტრატეგიის სწორად შერჩევა და შემდეგ მისი განხორციელება და სისრულეში მოყვანა.

საზოგადოების ტრადიციული მიდგომები და დამოკიდებულებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს და აფერხებს ქალთა დასაქმების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ოჯახში ქალის და მამაკაცის მოვალეობა-ფუნქციები საკმაოდ ტრადიციულია. აქედან გამომდინარე ქალთა დასაქმების გაზრდისათვის საკმარისი არ იქნება წმინდა ეკონომიკური ინიციატივების შემოღება და მისი გატარება. აუცილებელია ამ

ყოველივესთან ერთად გაიზარდოს ქალთა თვითშეფასება და საკუთარი შესაძლებლობების რწმენის ამაღლება. იმისათვის რომ აღმოიფხვრას პრობლემა სტერეოტიპებსა და საზოგადოებრივ დამოკიდებულებაზე საჭიროა ისევ და ისევ ქალთა აქტიურობა, მათი მონდომება და ინიციატივის გამოჩენა ყველა საქმის მიმართ. მათი აქტიურობით, მათვე უნდა დაამტკიცონ, რომ შეუძლებელი არაფერია და როგორც მამაკაცებს, მათაც აქვს იმის შესაძლებლობა, რომ შეეჭიდონ ყველანაირ სირთულეს მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ ქალის როლი არ არის დისკრიმინირებული საკანონმდებლო დონეზე პრაქტიკა მაინც განსხვევებულია. ანაზღაურების კუთხით ქალები უფრო ნაკლებს იღებენ მამაკაცებთან შედარებით. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მმართველ და მაღალანაზღაურებად პოზიციებზე უმეტესწილად მამაკაცები არიან დასაქმებულნი. კვლევებმა ისიც კი აჩვენა, რომ თანაბარ პირობებში მამაკაცებს უფრო მეტი შანსი აქვთ დასაქმდნენ გამოცხადებულ ვაკანსიაზე, ვიდრე ქალბატონებს. ძირითადად ქალები შეზღუდულნი არიან სამსახურის აჩევისას ბავშვის აღზრდის ვალდებულებით. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად კი საჭიროა გავზარდოთ ხელმისაწვდომლობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე. განსაკუთრებული ყურადღება კი ამ პრობლემას უნდა მიექცეს რეგიონებში, რადგანაც ქალაქთან შედარებით იქ უფრო მძაფრად დგას აღნიშნული პრობლემა დღის წესრიგში. ასევე კარგი იქნება სხვადასხვა ღონისძიებების, სასწავლო წრეების და გახანგრძლივებული სკოლების აქტიურად ამუშავება, რათა ქალს უფრო მეტი დრო გამოუთავისუფლდეს, დასაქმდეს და მოახდინოს თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია. რთულია როდესაც იღებ განათლებას, აგროვებ ცოდნას ამდენი წლის განმავლობაში და არ გეძლევა იმის საშუალებს, რომ ეს ცოდნა და შესაძლებლობები გამოიყენო პრაქტიკაში. ამისათვის სახელმწიფომ და ადგილობრივმა თვითმმართველობამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მოსახლეობას, ეს არა მარტო კონკრეტული პირისათვის იქნება წინსვლის საწინდარი, არამედ ქვეყნისათვის, რადგან რაც უფრო მეტი განათლებული და ამასთანავე დასაქმებული ადამიანი ეყოლება სახელმწიფოს, მით უფრო მყარად იდგება ის ფეხზე.

სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს გენდერული თანასწორობის პრობლემის აღმოფხვარს, არ უნდა იყოს განსხვავება სქესის მიხედვით, მან უნდა

დააწესოს სხვადასხვა სახის სტიმულატორები ქალთა დასაქმების მიმართულებით, ასევე კარგი იქნება მაჩვენებლების ხელოვნური ზრდა ანუ „კვოტური“ სისტემის შემოღება, ისეთი პროგრამების გატარება, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან შრომის ბაზარზე ქალთა როლის გაზრდაზე და გაზრდიან მათ ჩართულობას სხვასდასხვა სფეროში. ასევე მნიშვნელოვანია ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა ქალთა ბიზნესის განვითარებისათვის. ამით ქალებს არა მარტო დასაქმების საშუალება მიეცემათ, არამედ თვით დასაქმდებიან და წამოიწყებენ თავიანთ მცირე ბიზნესს სტარტაპის სახით. დაბრკოლებებს, რომლებსაც ქალები აწყდებიან ბიზნესის ფინანსების მოძიების პროცესში ძალიან მაღალია, ვინაიდან ფინანსური ინტიტუტები ქალების მიერ წამოწყებულ საქმეს არ აღიქვამენ „სერიოზულად“ და მიიჩნევენ მას ნაკლებადსიცოცხლისუნარიანად. ისინი ფინანსური ინსტიტუტების მიერ არიან უგულებელყოფილნი. სამწუხარო ფაქტია ის რომ ქალი მეწარმეები განიხილებიან ნაკლებად მდგრად სექტორად და ამ მიზეზით მათთვის წესდება მაღალი საპროცენტო განაკვეთები. აქედან გამომდინარე კი ძირითადად ქალი მეწარმეები თავად აფინანსებენ ბიზნესს მომავალი განვითარებისათვის, მაგრამ არის შემთხვევები, როდესად ეს ზრდა დაბრკოლებული და შეფერხებულია დამატებითი ფინანსების მიღების დაბალი მაჩვენებლით.

სამეწარმეო შესაძლებლობების რეალიზაცია ქმნის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და იძლევა საშუალებას სიღარიბიდან ამოსვლის. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება იძლევა საშუალებას აღმოიფხვრას ქალთა დისკრიმინაცია და მიეცეთ ქალებს შესაძლებლობა ჩაერთონ დასაქმების ყველა სფეროში. ერთ-ერთი ჟურნალის მიერ გამოქვეყნდა ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების 2012 წლის მონაცემები, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მაჩვენებელი საშუალო ინდექსზე მაღალია. საკანონმდებლო თვალსაზრისით ბიზნესგარემო საქართველოში გამართულია, ის არ შეიცავს დისკრიმინაციულ რეგულირებას ქალებთან მიმართებაში. ქალთა სამეწარმეო შესაძლებლობების შეფასებისა და მათი გაზრდის პერსპექტივისათვის, აუცილებელია გარემოებების და ფაქტორების გამოვლენა და გამოყენება, რომლებიც ქმნის სამეწარმეო გარემოს. როდესაც ქალები მამაკაცებთან ერთად აქტიურად ერთვებიან ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში და დადებითად აისახება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე. მონაცემებს თუ კი გადავავლებთ თვალს

ვნახავთ, რომ ევროპაში 1995 წლიდან მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური ზრდა სწორედ რომ ქალთა ჩართულობით გაზრდილ ეკონომიკურ აქტივობაზე მოდის. ამ კუთხით საქართველო მსოფლიოს მასშტაბით 128 ქვეყანას შორის 59-ე ადგილზეა.[58] იმისათვის, რომ საქართველომ რეიტინგის მაღალ მწვერვალს მიაღწიოს, საჭიროა სახელმწიფო თანაბრად უზრუნველყოფდეს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ დასაქმებას, ფინანსებზე წვდომას, განათლებას და პროფესიულ სწავლებას.

შრომით ბაზარზე ქალთა გააქტიურების გაზრდა შესაძლებელია გარკვეული საკანონმდებლო ინიციატივებით და სპეციალური პროგრამების დახმარებით. ფინანსებზე წვდომა კი ქალების ეკონომიკური გაძლიერებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორედაც რომ ფინანსებზე წვდომაა, ეს ყოველივე კი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად და შემდეგ მის განსავითარებლად. როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც ქალები ძირითადად წარმოადგენენ მცირე და მიკრო ბიზნესს და ვითარებიდან გამომდინარე ხშირად სირთულის წინაშე დგანან.

შეხედულებები და სტერეოტიპები გენდერულ თანასწორობაზე. საქართველოში კვლავ არის შემორჩენილი და შენარჩუნებული დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობის შესახებ. 2013 წელს ერთ-ერთი კვლევის დროს გამოკითხულთა 64 პროცენტი გენდერულ თანასწორობას მიიჩნევდა ქალისათვის და მამაკაცისათვის თანაბარი უფლებების მინიჭებას, თუმცა ეს მაჩვენებელი 2019 წლისათვის 10 პროცენტით გაიზარდა, რამაც გარკვეული იმედის მომცემი ნაპერწკალი გააჩინა ქვეყნის განვითარების მომავალ სტადიაზე.

რთული სათქმელია, საიდან იღებს სტერეოტიპული აზროვნება სათავეს, მაგრამ ფაქტია, რომ მოკლებულია კრიტიკულ ასპექტს და ძალიან ბევრ შემთხვევაში ემყარება მცდარ შეხედულებებს. გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში, პირველ რიგში დიდია კულტურული, ისტორიული და რელიგიური ფაქტორების მონაწილეობა.

თემაში თითოეული თავის და ქვეთავის განხილვისას ხშირად მიწევდა სტერეოტიპებზე და საზოგადოების დამოკიდებულებაზე საუბარი, ვინაიდან

[58] ჟურნალი “The Economist”, 2010.

თითქმის ყველა საკვლევი გზა მაინც მანდ გადიოდა. კიდევ მრავალად არის შესაძლებელი მაგალითების მოყვანა, რომლებსაც ვაწყდებით ყოველდღიურად მშობლების, მასწავლებლების და თუნდაც უბრალოდ გამვლელის საუბრისას. მსგავსი ფრაზები არის **„კაცურ პროფესიაზე არ უნდა იფიქრო, რადგან გოგოს ეს არ შეჰფერის“**, **„ბიჭია და შეძლებს“**, **„რა ქალის საქმე ეგ არის“** და სხვა მრავალი. საზოგადოებაში ძირფესვიანადაა გადგმული შეხედულებები ქალისა და კაცის ქცევის როლების მიხედვით და ძალზედ სამწუხაროა, რომ მსგავსი დამოკიდებულებები დღემდე არის შემორჩენილი ჩვენს საზოგადოებაში.

ეს შეხედულება საზიანოა ბავშვისთვის და არა მხოლოდ ბავშვისთვის, ზოგადად საზოგადოებისათვის, მისი განვითარებისათვის და ჩამოყალიბებისათვის. შესაძლებელია ამ დამოკიდებულებამ ფსიქოლოგიური ტრამვაც კი მიაყენოს მოზარდს და მასში ჩაკლას მომავლის განვითარების იმედი. ამისათვის არის საჭირო დაწყებით საფეხურზე სწავლება საკვლევი საკითხი, რადგან არ მოხდეს მომავალი თაობის წარმატების ჩამონგრევა. ამის არაერთი მაგალითი გავქვს, როდესაც საზოგადობის სხვაგვარმა დამოკიდებულებამ შეცვალა მოზარდის ცხოვრება, ვინაიდან ის იყო მოქცეული სტერეოტიპულ ჩარჩოში და არ ჰქონდა შესაძლებლობა ამ ჩარჩოს გარეთ განევითარებინა თავი. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ბავშვს განვითარების ეტაპზე თავს არ მოვახვიოთ ჩვენი „ძველმოდური“ სტერეოტიპები, პირიქით ის უნდა დავარწმუნით და შთავაგონოთ, რომ მას შეუძლია ყველაფრის სწავლა, ათვისება და შემდეგ ამ ყოველივეს გამოყენება ისევ და ისევ მის საკეთილდღეოდ.

სტერეოტიპული დამოკიდებულება მყარად გადაეცემა თაობიდან თაობას, ყოველივე ეს კი ხელს უშლის ადამიანის თვალსაწიერის გაფართოებას, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას და თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებას. თუ როგორ ზღუდავდა სტერეოტიპული აზროვენება ადამიანს საუკუნეების განმავლობაში, ამის მრავალი მაგალითი გაქვს. არა ერთი ადამიანი გამხდარა მსხვერპლი სტერეოტიპული დამოკიდებულებისა და ჩაკეტილი მიდგომებისა, რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოიძრკვოს და მიეცეს მომავალ თაობას დამოუკიდებლად, ყოველგვარი ჩარჩოს გარეშე შეძლოს ცხოვრების გაგრძელება. ბოლო პეროდების მიხედვით თუ კი ვიმსჯელებთ გვაქვს უკეთესობა, ნელა-ნელა, კუს მსგავსი

ნაბიჯებით, მაგრამ მაინც კარგავს სტერეოტიპული დამოკიდებულება ძალას და ნაკლებად მოქმედებს საზოგადოების აზროვნებაზე. თუ კი გვინდა, რომ 21-ე საუკუნეში ვიყოთ ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოების წევრთა რიგებში არ უნდა ვაძლევდეთ საშუალებას სტერეოტიპებს დაგვიბინდოს გონება და შეგვიზღუდოს არჩევანის თავისუფლება. ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენივე თავის - უფალი.

მცირეოდენ ყურადღებას დავუთმობ მთიან რეგიონებს, განსაკუთრებით კი აჭარას, სადაც ყველაზე რთულად აღიქვამენ ამ საკითხს, ვინაიდან ისევ და ისევ სტერეოტიპულ მიდგომებზეა დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობა, ეს ყოველივე კი ხელს უშლის ქალის, როგორც დამოუკიდებელი ადამიანის განვითარებას. რეგიონებში ძალიან მცირეა იმ ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც შეძლებენ ინფორმაცია გაავრცელონ ადგილობრივ მოსახლეობაში, ჩაუტარონ სემინარები, დაარიგონ ბუკლეტები, სადაც მითითებული იქნება მართებული ინფორმაცია ქალთა უფლებების შესახებ და ა.შ. ამ კუთხით ქალაქებში უკეთესობა აღინიშნება, ვინაიდან აქ შედარებით მეტი ორგანიზაციაა და შესაბამისად უფრო ინფორმირებული არის საზოგადოება.

2013 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებით რომელიც შესრულდა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ გაეროს დაკვეთით ნათლად ჩანს, რომ მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ემხრობა ტრადიციულ შეხედულებებს, რომ კაცი უნდა მუშაობდეს გარეთ, ქალი კი უნდა ასრულებდეს საოჯახო საქმიანობას. ამას ემხრობა მოსახლეობის 69 პროცენტი.[59] ეს შედეგი კი დამოკიდებულია სწორედ სტრერეოტიპებზე და იმ გარემოზე, რომელშიც მათ მოუწითა ცხოვრება. ისინი ასევე აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ მათთვის უცნობია სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და სტრატეგიული ხედვები, რომლებიც იყო მიმართული პრობლემების მოგვარებაზე.

განათლება ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომია, მაგრამ აჭარაში მცხოვრები ქალები პირველ დამაბრკოლებელ ბარიერს სწორედ სასკოლო განათლების მიღების დროს ეჯახებიან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებსც ვაწყდებით განათლების სფეროში არის გოგონების ნაადრევი გათხოვება

[59] ქალების საჭიროებების და პრიორიტეტების კვლევა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, ანგარიში, დეკემბერი 2013, გვ. 37.

და სწავლის ნაადრევი მიტოვება. მათ აღარ რჩებათ იმის შანსი იზრუნონ კარიერულ წინსვლაზე და პიროვნულ განვითარებაზე. კერძოდ მაღალმთიან რეგიონებში 18 % გოგოგნებისა ნაადრევად ქმნიან ოჯახებს და მათი ძირითადი მოვალეობა ამის შემდეგ ოჯახზე ზრუნვა ხდება.[60] სამწუხარო ფაქტია, რომ მათ აღარ უჩნდებათ სურვილი და ხშირ შემთვევაში შესაძლებლობაც იბრძოლონ კარიერული წინსვლისაკენ. განათლების მიღების ამ ეტაპზე გამოკვეთილია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც თანაბრად ეხება სკოლის მოსწავლეებს განურჩევლად სქესისა, ეს არის სოფლის სკოლებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და ხშირ შემთხვევაში კი მათი არ არსებობა. გამოკითხვის შედეგად კი გაირკვა, რომ სკოლის დასრულების შემდეგ ქალები პროფესიულ განათლებას ნაკლებად აგრძელებენ. [61] რაიონის ეკონომიკური მდგომარეობა კი მჭიდრო კავშირშია უმაღლესი განათლების მიღებასთან. იმისათვის, რომ მოხდეს თანასწორუფლებიანი სასწავლო გარემოს შექმნა და იმ პრობლემების აღმოფხვრა, რომლებიც გამოიკვეთა დაკვირვებისა და კვლევების შედეგად საჭიროა შესაბამისი გარემოს შექმნა, სტერეოტიპების შეცვლა როგორც სკოლებში ასევე უნივერსიტეტებში. მნიშვნელოვანია ასევე ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა კამპანიების მიერ რომლებიც მნიშვნელოვან ცვლილებას გაატარებენ. ცვლილებების გატარება კი დამოკიდებულია განათლების სამინისტროების მიერ, ხოლო მეორე მხრივ კი აჭარაში მოქმედი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. იმის გამო რომ რეგიონებს არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ ჩაატარონ ტერენინგები და მცირეოდენი ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას გენდერული თანასწორობის შესახებ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება თუ კი არასამთავრობო ორგანიზაციები გამოყოგენ მცირეოდენ რესურს და დააფინანსებენ რეგიონებს ამ მიმართულებით. ფაქტია, რომ სოფლად ნიჭიერი ადამიანები სახლობენ, მაგრამ მათ არ აქვთ იმის საშუალება, რომ გაეცნონ და თვალყური ადევნონ სიახლებს რომლებსაც ახორციელებს სახელმწიფო, ისევ და ისევ მათდა სასიკეთოდ. ასევე ვაწყდებით ბარიერებს კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით, ვინაიდან ამ კუთხით რეგიონებში უფრო მეტი პასიური ქალი გვყავს, ვიდრე ქალაქში. დასაქმების კუთხით

[60] თამილა თურმანიძე, „ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები და მათი რეალიზაციის ტენდენციები საქართველოში“, ბათუმი, 2017, გვ. 165.

[61] ქალების საჭიროებების და პრიორიტეტების კვლევა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, ანგარიში, დეკემბერი 2013,

სკოლის დასრულების შემდეგ მათ უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ მიღებული განათლება და ცოდნა გამოიყენენ პრაქტიკაში, ამისათვის უკეთესი იქნება თუ კი მათ ჩავრთავთ ანაზრაურებად სტაჟირებებში, ამით მათ მივცემთ სტიმულს, რომ სამომავლოდ გააგრძელონ ბრძოლა კარიერული განვითრებისაკენ. [62]

რაც შეეხება პოლიტიკაში მათ ჩართულობას მიზანშეწონილი იქნება თუკი რაიონში მაცხოვებელი ქალები მაქსიმალურად გაიაზრებენ მათ როლს ქვეყნის და საზოგადოების წინაშე, გააქტიურდებისნ მიიღებენ ინფორმაციას მათი უფლებებების შესახებ, ამისათვის კი საჭიროა მათი დატრენინგება და შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან, რომლებიც დააკვალიანებენ და მიაწოდებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით. მნიშვნელოვნად უნდა ჩაერთოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტები გარკვეული აქტივობებით, რათა არ დავკარგოთ ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი და შევუწყოთ ხელი მათ განვითარებას და წინსვლას კეთილდღეობისაკენ.

როგორც უკვე აღვნიშნე ძალიან დიდ როლს თამაშობს გენდერული სტერეოტიპები, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, ამიტომ აუცილებელია მაქსიმალური ყურადღება მიექცეს აღნიშნულ საკითხებს და სახელმწიფო მაქსიმალურად ჩაერთოს მის აღმოფხვრაში. სახელმწიფომ უნდა გაატაროს მხარდამჭერი ღონისძიებები მთაში მოსახლე ქალებისათვის გენდერული ძალადობის წინააღმდეგ და ვუზრუნველყოთ მათი ფინანსური მხარდაჭერა მუდმივმოქმედი საგანმანათლებლო ცენტრების გახსნისა და მათში გაწევრიანებისა.

ვინაიდან და რადგანაც აღნიშნულ თავში ვსაუბრობ აჭარის ტერიტორიაზე და მასზე უფლებამოსილ პირებზე, ასევე მინდა მცირეოდენი ყურადღება დავუთმოთ იმას, თუ რა უფლებამოსილებები აკისრია აჭარის საბჭოს გენდერული თანაწორობის კუთხით. ეს უფლებამოსილებებია: შეიმუშაოს და განახორციელოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნმიმართული იქნება გენდერული თანასწორობის ირგვლივ აღმოჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, ამის შემდეგ კი უნდა მოხდეს ამ სამოქმედო გეგმის განხორციელება და მასზე მონიტორინგი; დაიგეგმოს სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც იქნება შეთანხმებული საქართველოს პარლამენტთან.

[62] ქალების საჭიროებების და პრიორიტეტების კვლევა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, ანგარიში, დეკემბერი 2013,

ასევე შეიმუშაოს ღონისძიებები ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის და ასევე განახორციელოს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები;[63] საინტერესოა ის ფაქტი, რამდენად გულმოდგინედ და ზედმიწევნით ასრულებენ ამ ყოველივე საბჭოს წევრები? პასუხი კი მკაფიოდ არის გამოკვეთილი და აღნიშნული ნაშრომში მოყვანილი კვლევების მიხედვით. სამწუხაროა როდესაც კანონოთ გათვალისწინებული ვალდებულებები არ სრულდება შესაბამისად და მასთან განმკლავება და შეჭიდება უწევს საზოგადოებას. კვლევები მოწმობს იმას, რომ საბჭო არის პასიური და არაეფექტური, რომ მან ვერ შეასრულა მასზედ ნაკისრი ვალდებულებები და არც იძლევა იმის ვარაუდს რომ სამომავლოდ შესრულდება.

[63] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის წესი და უფლებამოსილება.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ჩემს მიერ შესწავლილ და გამოკვლეულ იქნა თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო და არის ქალის როლი საჯარო მმართველობაში. აღნიშნული საკითხი არ უნდა იყოს ყურადღების მიღმა დატოვებული და ყოველ დღიურად უნდა ხდებოდეს ფიქრი, იმაზე თუ როგორ აღმოვფხვრათ ეს პრობლემები, რომლებიც უკავშირდება გენდერულ სტერეოტიპებს.

როგორ უკვე ავღნიშნე მნიშვნელოვანია თავი დავაღწიოთ სტერეოტიპებს და იმ ჩაკეტილ ჩარჩოებს, რომელში ცხოვრებაც გვიწევდა და ნაწილობრივ ეხლაც გვიწევს. დავესესხები ბესარიონ ბელისნკის ნათქვამს **„ან წინ მივდივართ,ან უკან , რადგან ბუნებაში მდომარე მდგომარეობა არ არსებობს“**, ეს კი მიუთითებს იმას, რომ ჩვენზე, საზოგადებაზეცაა დამოკიდებული ნაწილობრივ არსებული ვითარების შეცვლა.

ზოგადად კვლევებიდან ჩანს, რომ არსებობს რიგი ბარიერები და დაბრკოლებები, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას რათა ქალსაც მიეცეს საშუალება და შესაძლებლობა საკუთარი თავი იპოვოს და დაიმკვიდროს ადგილი საზოგადოებაში. კვლევებმა ჩვენა, რომ არსებობს კულტურული, სტრუქტურული და ინსტიტუციური ბარიერები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს ქალთა ჩართულობას როგორც პოლიტიკაში, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში, არ არსებობს გენდერული პოლიტიკის სპეციალური გეგმა, რომელიც აპრობირებულია განვითარებულ ქვეყნებში, ასევე არ ხდება გენდერული მახასიათებლების გაანალიზება, არ გაქვს ახალგაზრდული პროგრამები, რომლებიც ქალს მისცემენ საშუალებას ადრეული ასაკიდანვე ჩაერთოს საზოგადოებრივ საქმიანობაში, არ ტარდება შესაბამისი ტრენინგ-კურსები, რომლის საშუალებითაც მიეცემათ მომავალი თაობის ქალთა წარმომადგენლებს მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით და გაითავისონ აღნიშნული საკითხი, როგორც ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელ ფაქტორი.

ჩემი პირადი აზრია და კვლევამაც აჩვენა, რომ შემოღებულ იქნას სკოლებში სწავლება გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, მომავალ თაობას მაინც მიეცეს იმის საშუალება რომ ზუსტად და ობიექტურად იყვნენ ინფორმირებულნი, არ

დაექვემდებარონ სტერეოტიპებს და შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების ფართო ასპარეზზე წარმოჩენა.

ჩემს მიერ ჩატარებულ სოციალურ კვლევაში **„ქალის როლი საჯარო მმართველობაში-გენდერული თანასწორობა“,** სადაც გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენდა 150 რესპოდენტს, მათ შორის იყო როგორც მამაკაცები ასევე ქალებიც. აქედან 79.5 პროცენტი ადასტურებს და მომხრეა იმის, რომ დაიშვას გენდერული სწავლება დაწყებით საფეხურებზე და თავიდანვე იყვნენ მოსწავლეები ინფორმირებულნი, რათა შემდგომში არ აღმოჩნდენ აღნიშნული პრობლემატიკის წინაშე. მაგრამ დღევანდელ ცხოვრებაში არის მომენტები როცა აუცილებლად მოგვიწევს მსგავს პრობლემებთან შეჯახება, შესაბამისაც თუ კი ვიქნებით ინფორმირებულნი მარტივად შევძლებთ ჩვენი უფლებების დაცვას და მაქსიმალურად დადებითად წარმართავთ პრობლემის აღმოფხვრის გზებს. გამოკითხულ რესპოდენტებს შორის იყვნენ 55 წლამდე რესპოდენტები, რომლებსაც ეტყობათ გამოკითხვის შედეგიდან გამომდინარე, რომ აქვთ გარკვეული ინფორმაცია გენდერულ თანასწორობასთან და მაინც ფიქრობენ, რომ საჭიროა სასწავლო პროცესში და პროგრამებში ყურადღება მიექცეს გენდერულ საკითხებს და მოხდეს აღმოსაფხვრელი გზების მოძიება. რაც შეეხება 55 წელს ზევით რესპოდენტები, როგორც კვლევებმა გვიჩვენა ნაკლებ არიან ინფორმირებულნი, ზოგიერთმა კი საერთოდ არ იცოდა სიტყვა გენდერის მნიშვნელობა და დააფიქსირეს მოსაზრება, რომ აუცილებლად მოისმენენ ამ საკითხთან დაკავშირებით ტრენინგებს და შეეცდებიან როგორმე დააღწიონ იმ სტერეოტიპებს თავი, რომელბიც გავრცელებული და გაბატონებულია ჩვენს ქვეყანაში.

იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ განათლების კუთხით გენდერულ თანასწორობაზე მიდგომები, საჭიროა ისეთი პოლიტიკის დანერგვა, რომელიც პირდაპირ იქნება ორიენტირებული სტერეოტიპების მსხვრევისაკენ, ასევე აუცილებელია მშობლები და მასწავლებლები იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას გოგონებში თვითრწმენისა და მოტიცაციის ამაღლებაში. როგორც უკვე აღვნიშნე გენდერული როლების გაცნობიერება ჯერ კიდევ სკოლის დაწყებით საფეხურზე იწყება, ამიტომ ეს პერიოდი მაქსიმალურად და რაციონალურად უნდა გამოვიყენეთ, რათა საბოლოოდ მივიღოთ შედეგი, რომლისთვისაც ვიბრძვით.

ასევე მნიშვნელოვანია სწავლების საფეხურებზე გამოიყოს ასპექტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ პრობლემის აღმოფხვრაში. ეს ასპექტები შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

- სასწავლო გეგმის გადახედვა და მასში გენდერული საკითხისა და პრობლემატიკის მკაფიოდ გამოხატვა;
- გენდერული ხედვის განმტკიცება მასწავლებელთა განათლების პროგრამაში;
- მასწავლებელთა დატრენინგება;
- სახელმძღვანელოების გრიფირება და მათში გენდერული აპექტების მკაფიო წარმოჩენა;

მნიშვნელოვანია ის, რომ ისევ და ისევ პრობლემის აღმოფხვრის გზები გადის განათლებაზე, ინფორმაციულობაზე, რაც დღევანდელ საზოგადოებაში არ უნდა წარმოადგენდეს ასეთ მძაფრ პრობლემას.

იმისათვის, რომ პოლიტიკაში აღმოიფხვას ქალის როლის და გენდერული თანასწორობის პრობლემა, აუცილებელია პარტიებმა გააძლიერონ თავიანთი გამჭვირვალობა, მათ აკისრიათ განსაკუთრებული როლი - წარმოადგინონ ინტერესები განურჩევლად სქესისა. უნდა გააცნობიერონ თავიანთი ფუნქციები და მათი წილი პასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის წახალისების კუთხით. ეს წახალისება უნდა ხდებოდეს როგორც შიდა სამზარეულოში, ასევე სხვა ორგანოებშიც. მიღებულ უნდა იქნეს ზომები, როგორიც იქნება პარტიაში მოხალისეობრივი პარტიული კვოტების შემოღება. რათქმაუნდა ის არ არის იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე, მაგრამ მისი დაშვება უზრუნველყოფს პოლიტიკაში ქალის როლის გაზრდას დ ეფექტიანობის გაძლიერებას. სწორედ ეს ყოველივე იქონიებს უდიდესი გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალის როლის ჩართულობაზე და ქალის როგორც კანდიდატის ჩამოყალიბებაზე. პარტიაში ქალთა ორგანიზაციის არსებობა არის ერთ ერთი ხელჩასაჭიდი საშუალება და შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს პოლიტიკაში გენდერული ბალანსის დამყარებას.

ყველა დაწესებულება ეს იქნება პოლიტიკური, ეკონომურიი თუ სხვა დანიშნულების მქონე, ასევე მასმედიმაც უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც იქნებ მიმართული გენდერული თანასწორობის პრობლემის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ყველამ უნდა შეიტანოს მცირეოდენი წვლილი, რათა საბოლოოდ ეს პრობლემა, ქალისა და კაცის განხვავება ჩაბარდეს წარსულს. მათ უნდა მიიღონ უწყვეტი დახმარება ქალთა მონაწილების გაზრდის უზრუნველსაყოფად. უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მოტივაციის ამაღლება, საკუთარ თავში რწმენის გაძლიერება. საზოგადოებას ნათლად უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ქალებსაც შეგვიძლია ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი შესაძლებლობების სრულყოფილი რეალიზაცია. ამ ყოველივეში კი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც უკვე ავღნიშნე-მასმედია, რომელიც გააკეთებს რეპორტაჟებს ქალის როლის შესახებ და ამ სიუჯეტების დახმარებით გამოცდილი ქალი მოღვაწეები გაუზიარებენ მათ გამოცდილებას ტელემაყურებლებს და რადიო მსმენელებს. ეს ყოველივე კი მამოტივირებელი სიგნალი იქნება ყველა პასიური ქალისათვის, რათა გამოფხიზლდნენ და შეძლონ თავიანთი რესურსების რეალიზაცია ჯერ საკუთარი კეთილდღეობისათვის და შემდეგ ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის.

რეალურად ქალთა დასაქმებისა და მათი როლის გაზრდის „გასაღები“ და ამომავალი წერტილი ისევ და ისევ დევს განათლებაში. ამისათვის კი ისევ და ისევ განვმეორდები საჭიროა ტრენინგ პროგრამების შემუშავება, რომლებსაც ძირითადად ატარებენ ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო სექტორები. ერთის მხრივ უნდა მოხდეს პროფესიულ სასწავლებლებში ისეთი მიმართულებების დანერგვა, რომელიც სწორედ ქალს მისცემს დასაქმებისა და საკუთარი საქმიანობის დაწყების შესაძლებლობას. ამ კუთხით კი ადგილობრივ თვითმმართველობას გარკვეული როლის შესრულება შეუძლია.

ეფექტიანი იქნება ასევე გარკვეული სასწავლო კურსების ადგილზე მიწოდების ორგანიზება. ქალთა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია მოხდეს მათი მხრიდან სამსახურის მოძიების მოტივაციის ჩამოყალიბება, შემდგომ კი უნარ-ჩვევების განვითარება. ასევე დამატებითი ინსტრუმენტებად შესაძლებელია მოაზრებულ იქნეს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, პროფესიული გადამზადება,

უნარების ზრდის ტრენინგები და ა.შ. რაც შეეხება ქალთა როლის გაზრდას შრომით ბაზარზე ამისათვის სახელმწიფომ უნდა დააწესოს გარკვეული სტიმულატორები და მათი დახმარებით წაახალისოს პასიურ ქალთა ჯგუფი. ვფიქრობ ეს არის გარანტი იმისა რომ აღმოვფხვრით აღნიშნულ პრობლემას და მივაღწევთ პოზიტიურ შედეგამდე.

იმისათვის, რომ მოხდეს ქალთა გაძლერებისათვის ეფექტიანი პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავება, აუცილებელია რომ ყველა მონაცემზე იყოს ხელმისავდომობა გენდერულ ჭრილში. სახელმწიფომ იმისთვის, რომ მიაღწიოს დემოკრატიულობას საჭიროა სოციალური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანაბრად ჩართოს ქალისა და მამაკაცის მონაწილეობა.

ბოლო პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაც ძალზედ სასიხარულია, მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ არის სფეროები სადაც ქალის ჩართულობა ისევ და ისევ დაბალია და ისევ გვიწევს შებრძოლება სტერეოტიპებთან და საზოგადოების აზრთან. საზოგადოებრივი დამოკიდებულებები და შეხედულებები ამა თუ იმ სფეროსთან დაკავშირებით დიდწილად განპირობებულია იმით თუ რამდენაც აქტიური შეხება აქვთ საზოგადოების წევრებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ნაშრომში ასევე საუბარია იმ სტერეოტიპებზე, რომლებიც დამკვიდრებულია ჩვენს ქვეყანაში და ძალიან დიდ დაბრკოლებას უქმნის ქალებს საკუთარი თავის პოვნაში. საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების ფონზე უნდა შეიცვალოს ქალის, როგორც ლიდერის მიმართ მიდგომები. ჩვენში ღრმად ფესვგადგმული და არასწორად დანახული სქესობრივი როლები ამტკიცებენ ტენდენციას, რაღაც მისაღებია მხოლოდ მამაკაცებისათვის, გარკვეული რაღაცეები კი მხოლოდ ქალებისათვის. ამ ნაშრომის მიზანს კი წარმოადგენს ის რომ მცირეოდენი წვლილი შევიტანოთ პრობლემატიკის პოზიტიურად გადაწყვეტაში. როგორც მსოფლიოს, ასევე საქართველოსაც სჭირდება ბევრი ქალი ლიდერი პოლიტიკაში, გააზრებული და ჩამოყალიბებული მიზნებით, რომლებიც უშუალოდ იქნება მიზანმიმართული ქვეყნის განვითარებისაკენ და კეთილდღეობისაკენ. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, რომ ჩემს მიერ დამუშავებულმა ნაშრომმა მცირედით წვლილი მაინც შეიტანოს და ხელი შეუწყოს ქალის ჩართულობასა და მონაწილეობას საჯარო

მმართველობაში. საზოგადოება უნდა შეეჩვიოს იმას, რომ ქალსაც აქვს საშუალება და შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ საქმიანობაში და გავზარდოთ ქალის როლი საჯარო მმართველობაში.

ქალები საუკეთესო ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ კი ისინი მაქსიმალურად ჩაერთვებიან ახალ ცხოვრებაში, გაიკაფავენ კარიერულ გზას და ეზიარებიან ახალ ღირებულებებს. ამ ამოცანის გადასაჭრელად კი მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს. თუ კი გაიმართება განათლების სისტემა და ჩემს მიერ გამოკვეთილი ასპექტები და რეკომენდაციები იქნება გათვალისწინებული ჩავთვლი, რომ მეც მცირედი წვლილი შევიტანე გენდერული პრობლემატიკის აღმოფხვრაში და შევუწყე ხელი ქალთა როლის გაზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩემს უმთავრეს მიზანსაც კი სწორედ ეს წარმოადგენს, რომ მე როგორც ქალმა, ერთ-ერთმა რიგითმა მოქალაქემ ჩემი წვლილი შევიტანო ქვეყნის განვითარებაში და დიდი იმედი მაქვს, რომ ოდესმე მომეცემა ამის საშუალება და ჩემი ქვეყნის საკეთილდღეოდ გავაკეთებ ძალიან ბევრ კეთილ საქმეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არჯევანიძე ნ., „გენდერული თანასწორობა - საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა“;
2. ათასწლეულების განვითარების მიზნების განხორციელების ანგარიში საქართველოში;
3. ბერიკაშვილი ნ., „გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები განათლების კონტექსტში“, სადისერტაციო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012;
4. ბაგრატია თ. „საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი გენდერულ ჭრილში“, თბილისი, 2013;
5. ბარამიძე მ., „ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“ სადოქტორო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2019;
6. ბენდელიანი ნ., „გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოში საერთაშორისო ინდექსებისა და რეიტინგების მიხედვით“, თბილისი, 2012;
7. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები, თბილისი, 2015;
8. გაფრინდაშვილი ლ., „ქალთა უფლებები მდგომარეობა აჭარაში: წარსული, თანამედროვეობა და მომავალი პერსპექტივები“, თბილისი, 2006
9. გენდერული თანასწორობა საქართველოში, ბარიერები და რეკომენდაციები, 2018;
10. გენდერი და საზოგადოება: საქართველო, თბილისი, 2008;
11. „გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით“, თბილისი, 2012;
12. გორგაძე ნ., „გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურებზე“, თბილისი 2015;
13. დოლიძე, ნ., ქალები ქართულ პოლიტიკაში, თბილისი, 2017;
14. გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, თბილისი, 2014;
15. თურმანიძე თ., „ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები და მათი რეალიზაციის ტენდენციები საქართველოში“, ბათუმი, 2017;
16. კვოტების სისტემა, თბილისი, 2014;

17. „კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულებები“, თბილისი, 2020;
18. „კარიერა საჯარო სამსახურში და გენდერული თანასწორობა“ - კვლევა, 2019;
19. „კარიერა საჯარო სამსახურში და გენდერული თანასწორობა“ - ძირითადი მიგნებები;
20. „მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ“, კვლევის ანგარიში, 2014;
21. მოსახლეობისა და განვითარების საერთასორისო კონფერენციის ანალიზი;
22. მეგრელიშვილი თ., „ქალის როლი საჯარო მმართველობაში“, სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2018;
23. პატარაია ბ., „კვოტები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესების ეფექტური მეთოდი“;
24. საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში, ინფორმაციის ტავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2013;
25. საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, კვლევის ანგარიში, UNDO Georgia, 2013;
26. ტაბატაძე შ., გორგაძე ნ., ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლის დაწყებით საფეხურზე, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2013;
27. ურჩუხიძე გ., „ქალები პარტიაში: მითების დეკონსტრუქცია“, საფარი, თბილისი, 2017;
28. ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები და გამოწვევები, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, თბილისი, 2014;
29. „ქალთა კვოტირების საკითხი საქართველოში 1990 წლიდან 2016 წლამდე“, სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017;
30. ქალების საჭიროებების და პრიორიტეტების კვლევა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, ანგარიში, დეკემბერი, 2013;
31. ყუფუნია თ.,“ გენდერული კვოტა უკეთესი პოლიტიკისათვის“, თბილისი, 2015;
32. ხომერიკი ლ., „გენდერი და პოლირიკა“, სოციალური მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006;
33. https://parliament.ge

34. https://www.mcageorgia.ge
35. https://georgia.unfpa.org
36. www.nplg.gov.ge
37. www.echoofdiversity.com
38. www.intermedia.ge
39. www.tavisufali.ge
40. http://www.sca.ge/
41. https://publika.ge/